გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთია

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№62 (1088) 5 - 7 ივნისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ზუგდიდში დევნილებისთვის ახალი საცხოვრებელი კომპლექსი აშენდება

გვ. 7

რამდენ ოჯახს დააკმაყოფილებს სამინისტრო ბინით

ახალი სკანდალი გივი თარგამაძის წინააღმდეგ

ვინ იბრძვის პარლამენტის „ნლობის ჯგუფში“ კვოტის მოსაპოვებლად და რა საფრთხეებს შეიცავს ამ ჯგუფში გივი თარგამაძის წევრობა

გვ. 3

საკაშვილმა უკრაინაში დაპატიმრებები დაიწყო

„წესრიგის დამყარების“ საქართველოში აპრობირებული მეთოდი და უცვლელი მთავარი გმირები საკაშვილი-ადეიშვილის სახით

გვ. 8

თბილისს 10-ის ნაცვლად 18 მაჟორიტარი ეყოლება



რა იცვლება საარჩევნო მანდატების გათანაბრებით და რაზე ევაჭრება „ოცნება“ ნაციონალებსა და აღასანიას

გვ. 4

მოქალაქეს ონლაინმაღაზიაში ბოთლის 100 საცობის განბაჟებას სთხოვენ

როგორ უნდა მოიქცეთ თუ საბაჟოზე თქვენი უფლებები ირღვევა

გვ. 5

თალლითობა ებრაულად

პატიმრის დღიური

როგორ „დააბოღეს“ ჰოლანდიელები საქართველოს მოქალაქეებმა

გვ. 6

IFC „საქართველოს ბანკს“ 90 მილიონ აშშ დოლარს გამოუყოფს

სესხი ხელს შეუწყობს „საქართველოს ბანკს“, გააფართოვოს ფინანსური მომსახურება და წაახალისოს ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში

გვ. 7

გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ საქართველოში ლტოლვილთა სტატუსის შესახებ მორიგი რეზოლუცია მიიღო

გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ 69-ე სესიაზე მიიღო მორიგი რეზოლუცია — „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი, საქართველო იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“.

რეზოლუცია გმობს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ძალისმიერი გზით განხორციელებულ დემოგრაფიულ ცვლილებებს, ხაზს უსვამს დევნილთა საკუთარ სახლებში ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების აუცილებლობას ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, ყურადღებას ამახვილებს მათი საკუთრების უფლების პატივისცემასა და დაცვაზე.

ამასთან, რეზოლუცია ხაზს უსვამს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ჰუმანიტარული საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების გადაუდებელ აუცილებლობას.

მნიშვნელოვანია, რომ რეზოლუცია ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეებს მოუწოდებს, ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ძალისხმევა გააქტიურონ, რაც თავის მხრივ იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ სახლებში დაბრუნებას შეუწყობს ხელს.

მიმდინარე წელს რეზოლუციის მომხრეთა რიცხვი 75 სახელმწიფომდე გაიზარდა.

„პირველი“

პრემიერმა ფინანსთა მინისტრს სთხოვა, 10 ივნისამდე ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი წარუდგინოს

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ყველა სამინისტროს მოუწოდა, შეეგუონ ახალ რეალობას და ფულის მოთხოვნის ნაცვლად, ის დახარჯონ, რაც გააჩნიათ.

პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს სამინისტროების ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით კითხვა დაუსვა.

როგორც ნოდარ ხადურმა განაცხადა, მან ყველა სამინისტროს მოუწოდა, კაპიტალურ ხარჯებს მაქსიმალურად დიდი ყურადღება მიაქციონ: **„ფინანსთა სამინისტროს შესრულება აქვს 85%, თუმცა ეს არის იმის ბრალი, რომ ჩვენ EBARD-ზე დავხარჯეთ თანხები. ეკონომიკის სამინისტროს აქვს 87%-იანი შესრულება, ხოლო ინფრასტრუქტურის სამინისტროს 90%“.**

ირაკლი ღარიბაშვილის კითხვაზე, როგორ მიდის ბიუჯეტის კორექტირება, ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ ამაზე მუშაობა მიმდინარეობს, თუმცა პროცესი ძალიან რთულია: „საკმაოდ რთული პროცესია იმიტომ, რომ კოლეგებისგან არის მოთხოვნა პირიქით, გაზრდაზე“.

ნოდარ ხადურის საპასუხოდ კი, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ სამინისტროები ახალ რეალობას უნდა მოერგონ: **„10 ივნისამდე წარმოადგინეთ საბოლოო ვარიანტი. ჩვენ ახალ რეალობას უნდა მოვერგოთ. ასე არ გამოვა, რომ სამინისტროები ფულს ითხოვენ. რაც აქვთ, ის დახარჯონ, ჩვენ ახალი რეალობა უნდა გავითვალისწინოთ. მთელ რეგიონში ხდება ეკონომიკური ზრდის ტემპების გადახედვა“.**

„პირველი“

„დედაქალაქში ძალიან დიდი ზიანი არ არის“

თბილისის მერის განცხადებით, უხვმა ნალექმა დედაქალაქს დიდი ზიანი არ მიაყენა, თუმცა მოსაწესრიგებელია ქვაფენილები, მამა დავითისკენ მისასვლელი გზა და ვარაზისხევი.

დავით ნარმანიას ინფორმაციით, მთელი ღამის განმავლობაში მობილიზებული იყო სპეციალური სამსახურები, რომლებიც უწყვეტ რეჟიმში მუშაობდნენ: **„ვავალებ ზედამხვედველობის სამსახურს, რაიონულთან ერთად დაგროვილი პრობლემები, სწრაფად აღწერონ და შესაბამისმა სამსახურებმა კომპეტენციის ფარგლებში, მიხედონ. კეთილმოწყობის სამსახურს ევალება, სანიაღვრე გზები და განსაკუთრებით დაზიანებული გზების მონაკვეთები, ასევე ქვაფენილები, რომელიც ძლიერი წვიმის შედეგად დაზიანდა, სწრაფ რეჟიმში აღადგინოს. ძალიან დიდი ზიანი არ არის, თუმცა არის და ვფიქრობ, მეტ-ნაკლებად ფინანსურ მაჩვენებლებშიც უნდა ავსახოთ“.**

„პირველი“

„საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა მთხოვა, გიორგი ქადაგიძე არ დაეკავებინათ“

ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მან მთავარი პროკურატურიდან განცხადება, რომელიც „ქართუ ბანკის“ საქმეს უკავშირდებოდა, პირადი გადაწყვეტილებით გამოიტანა.

მისივე თქმით, ვერ შეძლებს ქადაგიძის დაცვას იმ შემთხვევაში, თუკი სხვა საკითხებთან დაკავშირებით რაიმე სახის გადაცდომა ექნება: **„საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელმა პირადი შეხვედრისას მთხოვა არ დაეკავებინათ ქადაგიძე. მე ეს მართლაც გავითვალისწინე და ვუთხარი, რომ ის რაც პირადია და ამ დროს პირადი იყო „ქართუ ბანკი“, რაზეც მათ იცოდნენ, რომ კანონი დაარღვია და ის დასაჭერია. მას არ უთქვამს, რომ დასაჭერი არაა, ჩვენ ვიცით, ის დასაჭერია, იქნებ აპატიოთო. მეც ვუთხარი, რომ რაც პირადულია, შემიძლია, გავაკეთო და პროკურატურიდან საქმე გამოვიტანე, რაზეც ჯავახიშვილი ძალიან განაწყენდა. რაც შეეხება საერთო საქმეებს, განვმარტე, რომ თუ მას სახელმწიფოსთან მიმართებაში აქვს რაიმე დარღვევა, ხელს ვერ დავაფარებ“.**

„პირველი“

10 წლის გაუპატიურებული გოგონას მამა ზესტაფონის რაიონულ პოლიციაში დაკითხეს

როგორც პოლიციაში აცხადებენ, მამაკაცი შენობაში დაკითხვაზე რამდენიმე საათის განმავლობაში იმყოფებოდა. დაზარალებული გოგონას მამამ პოლიციის შენობა უკვე დატოვა.

10 წლის გოგონა ზესტაფონის რაიონის ერთ-ერთ სოფელში გააუპატიურეს.

შსს-ში აცხადებენ, რომ მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით დაიწყო, რაც გაუპატიურებას გულისხმობს.

„პირველი“

არასრულწლოვან გიორგი კახურაშვილის პრეცედენტული დავა დადებითად გადაწყდა

დავა 2009 წელს ს.ს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალის“ სასარგებლოდ, სესხის სანაცვლოდ იპოთეკით, არასრულწლოვან გიორგი კახურაშვილის უძრავი ქონება დატვირთვას ეხებოდა.

მოსამართლე ზაზა მარტიაშვილმა, 2015 წლის 4 ივნისს გამართულ სხდომაზე, მოსარჩელე გიორგი კახურაშვილის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ბათილად სცნო იპოთეკის ხელშეკრულებები, რომლის ძალითაც, არასრულწლოვანის ქონება უფლებრივად იყო დატვირთული.

„საქმე ეხებოდა 2009 წელს ს.ს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალის“ სასარგებლოდ, სესხის სანაცვლოდ რომლის ოდენობაც 7 000 აშშ დოლარს შეადგენდა, იპოთეკით დაიტვირთა არასრულწლოვან გიორგი კახურაშვილის უძრავი ქონება. სესხი აღებული იქნა სამეურნეო საქმიანობის განვითარების მიზნით, თუმცა, რა თქმა უნდა, იმ პირობებში, როდესაც სესხის საპროცენტო განაკვეთი წლიურ 60%-ს წარმოადგენდა, ოჯახმა ვერ მოახერხა საქმის წარმატებით განხორციელება და 2012 წლის 4 ივნისს, აუქციონზე, გ. კახურაშვილის საკუთრებაში არსებული ქონება გაიყიდა. ამ დროისთვის, კახურაშვილების ოჯახის მიერ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჯორჯიან კაპიტალის“ სასარგებლოდ, სესხის ფარგლებში, უკვე გადახდილ იყო 8 200-მდე აშშ დოლარი. ქონების ახალმა მესაკუთრემ, დროის სხვადასხვა პერიოდში, 2-ჯერ მოითხოვა არასრულწლოვანის მიმართ იძულებითი ღონისძიების გამოყენება გამოსახლების სახით, თუმცა 2015 წლის 4 ივნისის მდგომარეობით, აღსრულების პროცესი შეჩერებულია. საქმეში მთავარი შეცდომა ისაა, რომ უძრავი ქონების უფლებრივი დატვირთვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების მომენტში, არავის, მათ შორის, არც ნოტარიუსს არასრულწლოვანის მშობლებისათვის, არ განუმარტავს, რომ მათ მოქმედი საერთაშორისო თუ შიდა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, არ შეეძლოთ არასრულწლოვანი შვილის ქონების განკარგვა, არასრულწლოვანს საკუთრება კი ბაბუამ საჩუქრად გადასცა. შესაბამისად, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დადების მომენტში, არ მომხდარა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება“.

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ სასამართლო ხელისუფლებას არასრულწლოვან გიორგი კახურაშვილის პრეცედენტულ დავასთან დაკავშირებით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებისთვის, მადლობას უხდის.

„პირველი“

ხულოს გამგებლის მოადგილე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს

სამართალდამცველებმა ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლაშა ბოლქვაძე და ბათუმის მერიის საფინანსო ეკონომიკური სამსახურის უფროსის მოადგილე არჩილ ვანაძე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს.

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ქალაქის მერიამ შპს „ტონი და კომპანიასთან“ გააფორმა ხელშეკრულება, ჟილინის არხის კაპიტალური სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესახებ.

შპს-ს მხრიდან საბანკო გარანტიის წარდგენის შემდეგ, მერიამ ავანსის სახით კომპანიას 1 289 972 ლარი ჩაურიცხა. მას შემდეგ, რაც კომპანიამ არაჯეროვნად შეასრულა სამუშაოები და მერიას წარუდგინა მხოლოდ 254 265 ლარის ღირებულების სამუშაოები, ბრალდებულებმა, ნაცვლად იმისა, რომ აემოქმედებინათ სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ მიერ გაცემული საბანკო გარანტიით გათვალისწინებული პირობები, გულგრილად მოეკიდნენ დაკისრებულ მოვალეობას და აღნიშნულ საწარმოს კვლავ გადაურიცხეს 236 000 ლარი.

საგამოძიებო უწყების ინფორმაციით არჩილ ვანაძისა და ლაშა ბოლქვაძის აღნიშნულმა კანონსაწინააღმდეგო ქმედებამ სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა განაპირობადა ამასთან, თვითმმართველ ქალაქ ბათუმისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზიანი გამოიწვია. საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გრძელდება, რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„პირველი“

ახალი სკანდალი გივი თარგამაძის წინააღმდეგ

ვინ იბრძვის პარლამენტის „ნდობის ჯგუფში“ ქვოტის მოსაპოვებლად და რა საფრთხეებს შეიცავს ამ ჯგუფში გივი თარგამაძის წევრობა

ნინო კომახიძე
599-95-33-16

გივი თარგამაძის წინააღმდეგ კიდევ ერთი მოძრაობა დაიწყო, უფრო სწორად, განახლდა. ბოლო ხანებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრმა“ გივი თარგამაძის საქმიანობაზე კვლევაც ჩაატარა, შემდეგ მისი საპარლამენტო „ნდობის ჯგუფიდან“ ჩამოშორება მოითხოვა, ახლა კი პარლამენტს ამ ჯგუფში ნაციონალი დეპუტატის უფლებამოსილების შეწყვეტისკენ მოუწოდებს და საპროტესტო განცხადებას უგზავნის. აქ საინტერესო ისაა, ეს მორიგი პოლიტიკური თამაში გივი თარგამაძის, ნაციონალური მოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგაა მიმართული, თუ რომელიმე პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ.

როგორც „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი“ აცხადებს, მათ თარგამაძის საქმიანობა 2012-2015 წლების ჩათვლით გამოიკვლიეს და დაადგინეს, რომ თარგამაძე პასიური დეპუტატია, სხდომებს სხვა კოლეგებზე ხშირად აცდენს და ამ მოწვევის პარლამენტში არცერთი საკანონმდებლო ინიციატივა არ ჰქონია. დამატებით არგუმენტად, ორგანიზაციამ გახმაურებული შემთხვევა მოიყვანა, რომლის მიხედვით, შსს-ს თანამშრომელმა, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების გზით, პოლიციელ თარაშ მუკბანიანის განზრახ მკვლელობაში ბრალდებული რამაზ დევაძის საზღვრის კვეთის ამსახველი ვიდეომასალა მოიპოვა. ეს მასალა გივი თარგამაძეს გადასცა, რომელმაც განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია „ნდობის ჯგუფიდან“ ჰქონდა. შესაბამისად, გივი თარგამაძე ამ ჯგუფის დისკრედიტების მცდელობაში დაადანაშაულეს. „ვერსია“ სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის თავმჯდომარეს, **ლაშა გიორგაძესაც** ესაუბრა, რომელმაც ამ თემაზე მორიგი პრესკონფერენცია ჩაატარა: **„ჩვენი კვლევის მიზანი იმის გარკვევა იყო, რამდენად კვალიფიციურად ასრულებს პარლამენტი მასზე დაკისრებულ მოვალეობას და გამოიკვეთა, რომ დეპუტატების 80% არ მუშაობს! პერსონალურად გივი თარგამაძეზე იმიტომ ვსაუბრობთ, რომ შესაძლოა, მან ისეთი ინფორმაცია გამოიტანოს, რომლის გასაჯაროება დაუშვებელია. ამის მაგალითი უკვე გვაქვს. ერთ დღესაც რომ გავიგოთ, ბატონმა გივიმ თავი ვერ შეიკავა და რაღაც თქვა, ან სოციალური ქსელით გაავრცელა, ეს მისი მხრიდან პროვოკაცია იქნება. ამის გამო მისი სისხლის სამართლებრივი დევნაც რომ დაიწყოს, რაც გართულდება, რადგან თარგამაძე დეპუტატია, ქვეყნის გარეთ, შესაძლოა, კითხვები გაჩნდეს, ეს პოლიტიკური დევნა ხომ არისო?! ამიტომ, საჭიროა პრევენცია მმართველი გუნდის მხრიდან და გივი თარგამაძის მიერ „ნდობის ჯგუფის“ დატოვება. აქცენტი მასზე მისი პერსონის ოდიოზურობის გამო კეთდება“.**

რეალურად, გაცილებით მეტი არგუმენტი და საფრთხე არსებობს, ვიდრე ერთ არამშვენიერ დღეს ცუდ გუნებაზე გაღვიძებული დეპუტატი და ახალი აცებოოკ-სტატუსია. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ლოგიკური მსჯელობის დონეზე უნდა განვიხილოთ, თუმცა სერიოზული არგუმენტი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ გივი თარგამაძისა და მიხეილ სააკაშვილის ურთიერთობაა. თარგამაძე, რომელიც სააკაშვილს აქტიურად ეკონტაქტება, თავად საქართველოს ხელისუფლებასაც დაუსახელებია მეზობელი ქვეყნების ჭრელ-ჭრელი რევოლუციების ერთ-ერთ შემოქმედად. პარალელურად, სააკაშვილი ქვეყნის მოქალაქე აღარაა და ავტომატურ რეჟიმში, მისთვის ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიწოდება „ნდობის ჯგუფიდან“ აკრძალულია. თუ ასეთი რამ მოხდა, თავისუფლად შეგვიძლია, თარგამაძეს უცხო ქვეყნის ჯაშუში ვუწოდოთ. ან რატომ არ იქნება ლოგიკური, ერთ დღეს აღმოვაჩინოთ, რომ ნაციონალი დეპუტატი ექსპრეზიდენტის „აგენტია“ „ნდობის ჯგუფში“ და სხვადასხვა უწყებების ბიუჯეტისა და გეგმების შესახებ, უბრალოდ, მეგობრულად ეჭორავება? საფრთხე ნომერი ორი — თარგამაძის ხელში, მისი კონტაქტების წყალობით, რომელიც, სხვათა შორის, მაშინ უფრო უხვად ჰქონდა, როცა პარლამენტში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს თავად ხელმძღვანელობდა, ინფორმაცია უწყვეტ რეჟიმში მიედინებოდა. ალბათ, ახლაც, ამის დასტური შსს-ს გენინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურეობრივი შემოწმების შედეგია — დადგინდა იმ თანამშრომლის ვინაობა, ვინც შსს-ს ბაზაში არსებულ დაცულ ინფორმაციას ნაციონალ თარგამაძეს სისტემატურად აწვდიდა. სწორედ აქედან მოდიოდა ნაციონალების გამორჩეული წევრის ხმამაღალი განცხადებები თუ ანონსები იმის შესახებ, რომელმა კანონიერმა ქურდმა და როდის გადმოკვეთა ან გადაკვეთა საქართველოს საზღვარი. საფრთხე ნომერი სამი — ექსცენტრული გივი თარგამაძე არც „ნდობის ჯგუფის“ მხილებას მორიდებია და „სეზონი“ სწორედ ჩვენთან ინტერვიუთი გახსნა. იგი ამ ჯგუფში არსებულ დარღვევებზე საუბრობდა და კონფიდენციალური დეტალების გასაჯაროების საკითხში რამდენჯერმე, წითელ ხაზზეც გაიარა: **„ხელისუფლებას კვირაში ერთხელ, წუთებითა და წამებით დაზუსტებულ ინფორმაციას ვაწვდი, რომელმა „კანონიერმა ქურდმა“ გადმოკვეთა საზღვარი, როგორია მისი მარშრუტი, ვის როდის „გაადეპორტებენ“ და ა.შ. მაგრამ არ ესმით, არადა, ინფორმაციები იგივე საშუალებებიდან და სერვერებიდან მაქვს, რაც დღეს ხელისუფლების ხელშია. შეუძლიათ, ჩემზე ოპერატიულადაც მოიპოვონ. იქ ჯერ კიდევაა კარგი ხალხი შემორჩენილი — ჯერ ყველა ვერ გამოყარეს და ეძებონ, ვინ არიან ადამიანები, ვისაც ეს ინფორმაცია გამოაქვს... მთელი ეს მოვლენები, რაც ირაკლი ალასანიას გარშემო განვითარდა, იმით გაგრძელდა, რომ პარლამენტის ნდობის ჯგუფმა და ირაკლი სესიაშვილმა გადაწყვიტეს, აუდიტის სამსახურისთვის წერილი მიეწერათ. მიწერ-მოწერა პარლამენტსა და ამ სამსახურს შორის ზუსტად 1 დღეში დასრულდა, რამდენიმე წერილი გადაუგზავნეს ერთმანეთს, უცებ, პასუხებიც დაბრუნდა და ჰოპ, მეორე დღეს პარლამენტში უკვე ამ მასალების დიდი ნაწილი მოიტანეს და სხდომა ჩატარდა. ე.წ. კაბელების საქმე რომ ამოტივტივდა, სესიაშვილმა პირველად მაშინ დამირეკა, აბა, უცებ ვიკრიბებით, ნდობის ჯგუფშიო. რაც ამ სხდომაზე მოხდა, საერთოდ ნონსენსი იყო. აუდიტმა საკუთარი ინიციატივით მოიტანა შემოწმებულ უწყებათა მასალები და აღმოჩნდა, რომ შესწავლილი აქვთ მხოლოდ 2011-2012 წლები და 2013 წლიდან ერთი, თავდაცვის უწყება. ანუ, უწყებები შეამოწმეს მხოლოდ ჩვენი მმართველობის პერიოდში, „ოცნების“ მოსვლის დღიდან კი მარტო ალასანიას სამინისტროა შემოწმებული. თან ალასანიას საქმეები აუდიტს პროკურატურაში უკვე გადაგზავნილი ჰქონდა, რაც მათი კი არა, ნდობის ჯგუფის ფუნქციაა. სინამდვილეში, ნდობის ჯგუფი მხოლოდ იმიტომ შეკრიბეს, რომ ამ გზით გასაჯაროებულიყო, თუ რა დარღვევები ჰქონდა ალასანიას. აქ ერთიცაა — 2013 წლიდან, შემოწმებულია დაცვის სპეციალური სამსახური, რაც ასევე არ გაასაჯაროეს... არც ერთი უწყებიდან მასალა არაა გადმოგზავნილი, სადაც კანონის მიხედვით, 2 მილიონ ლარზე მეტი შესყიდვა იქნება გაწერილი. ან კანონს არღვევენ და მასალას არ გვიგზავნიან, ან შესყიდვები საერთოდ არ ჰქონიათ. თუ ასეა, მაშინ მართლა დავღუპულვართ და ტყვია-წამლის საყიდელი ფულიც არ გვქონია.“**

არადა, ე.წ. ნდობის ჯგუფი ძალიან მნიშვნელოვანი საპარლამენტო კონტროლის ბერკეტია და ის პირდაპირაა მიბმული უშიშროების საბჭოს და თავდაცვის სამინისტროს სრულიად გასაიდუმლოებულ საქმიანობასთან. თავდაცვის სამინისტრო ვალდებულია, „ნდობის ჯგუფს“ განსახორციელებელი საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს, თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების ღირებულება 2 მილიონ ლარს აღემატება, ხოლო სამუშაოს სავარაუდო ღირებულება — 4 მილიონ ლარს, რათა ამით შეიარაღებულ ძალებზე რეალური კონტროლი განხორციელდეს. ნაციონალების დროს, „ნდობის ჯგუფში“ ოპოზიციას მხოლოდ ერთი კვოტა ჰქონდა, რომელიც ჯამში, წინა ხელისუფლებამ ოპოზიციას, დავით გამყრელიძეს არ დაუთმო. ახლა კი, შეცვლილი კანონით, ამ ჯგუფში ოპოზიციას ორი კვოტა აქვს. დღეს ამ ჯგუფის შემადგენლობაში გივი თარგამაძე, ირაკლი სესიაშვილი, ზურაბ აბაშიძე, დავით საგანელიძე და ზვიად ძიძიგური შედიან, რადგან კანონის მოთხოვნებს სწორედ მათი საპარლამენტო სტატუსი შეესაბამება. მაგრამ სად წერია კანონში, რომ „ნდობის ჯგუფის“ ოპოზიციური კვოტა მაინცდამაინც ნაციონალებს უნდა ჰქონდეთ? რატომ არ შეიძლება, ეს მოძრაობა გივი თარგამაძის წინააღმდეგ სწორედ ამ ძალის დაწყებული იყოს?! მით უმეტეს, როცა ოპოზიციაში გადასული თავისუფალი დემოკრატები ნდობის ჯგუფში ადგილს ჯიუტად ითხოვდნენ და ეს ადგილი ზურა აბაშიძეს გაუხერხეს?! არც ისაა გამორიცხული, ნაციონალი თარგამაძის კიდევ ერთი ალასანიას-პარტიელით ჩანაცვლება „ოცნებასაც“ უფრო აწყობდეს — სად ექსცენტრული ოპონენტი და „პირსისხლიანი რეჟიმის“ შვილი და შედარებით კონსტრუქციული ყოფილი კოლეგა ელჩებისა და დიპლომატების პარტიდან? აქ არც ალასანიას პოლიტიკური ინტერესები უნდა დაგვავიწყდეს — თავისუფალი დემოკრატები საფრანგეთში გაფორმებული სამხედრო მემორანდუმის ირგვლივ განვითარებულ სკანდალზე პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვდნენ. მათ „ოცნების“ ლიდერებმა დაუფარავი აგრესიით უპასუხეს და განუცხადეს, რომ მსგავსი თემების გასაჯაროება უპასუხისმგებლო საქციელია. ყველაზე მეტად სწორედ ნდობის ჯგუფის ხელმძღვანელი, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი აღშფოთდა: **„ბოლო დროს, მოდაში შემოვიდა საიდუმლო საკითხებზე საჯარო საუბრები. არადა, ეს საკითხები ნდობის ჯგუფში უნდა განვიხილოთ“,** — ამბობდა სესიაშვილი და ვინ იცის, იქნებ ოპოზიციაში გადაბარგებული დიპლომატი ნდობის ჯგუფში გავლენის გაძლიერებას ცდილობს?! მით უმეტეს, მისი პირდაპირი ინტერესია, ყოფილ უწყებაზე, მათ შორის, ფრანგული ავიაციის თემასა და „კაბელების საქმის“ მიმდინარე დეტალებზე სრულ ინფორმაციას ფლობდეს?! ვის აწყობს ეს მოძრაობა გივი თარგამაძის წინააღმდეგ ალასანიაზე მეტად, ხელისუფლებას, რომელმაც გივი თარგამაძეს რამდენიმეთვიანი ყოყმანის შემდეგ „ნდობის ჯგუფის“ წევრობა დაუმტკიცა, თუ ოპოზიციის ლიდერს, რომელსაც მეტი ბერკეტის ფლობით, ხელისუფლებისთვის მეტი პრობლემის შექმნა შეუძლია...

ჩვენ და თეიმურაზ ხევისთავი

ლევან სეფიასკვერაძე

ლოგოპედი სამედიცინო სფეროს ის მუშაკია, რომლის შესაძლებლობებშიც ყოველთვის ეჭვი მეპარებოდა. ლოგოპედი რაღაცით ბრმა კალათბურთელს ჰგავს, რომელსაც კალათში ბურთის ჩაგდების დაახლოებით ისეთივე შანსი აქვს, როგორ ლოგოპედს ენაბლუ კაცის „განკურნებისა“. სიტყვა „განკურნება“ ბრჭყალებში შემთხვევით არ ჩამისვამს, რადგან მე, როგორც ენაბლუთა ამქრის ერთ-ერთი წევრი, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ენაბლუობა არც დაავადებაა და არც რაიმე ისეთი სენი, რომლის გამოც გულზე დარდის მოწოლა შეიძლება ღირდეს. თუმცა, ლოგონევროზი (სწორედ ასე ჰქვია მედიცინაში ენაბლუობას) ოფიციალურად არის დაავადებად აღიარებული და მის მკურნალობას ლოგოპედთა თაობები ამაოდ ცდილობენ.

კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი პირველი და ყველაზე ცნობილი ენაბლუ, მოსე წინასწარმეტყველი იყო, რომელიც ებრაელ ხალხს ჯერ მისი მეგობრებისა და ოჯახის წევრების დახმარებით მიმართავდა, შემდეგ კი დიდებული რამ მოიფიქრა – პირს კენჭებით ივსებდა და ასე ცდილობდა ენაბრგვილობის დაძლევას. საერთოდ, ძველ დროში, ენაბლუობას სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად უყურებდნენ. ძველ ეგვიპტეში ბორძიკით მოსაუბრე კაცი ავი ძალების მიერ მოჯადოებული ეგონათ და ენის წვერს უჭრიდნენ, „ჯადო რომ გამოსულიყო“. დამეთანხმებით, მეტად საცნაური სანახაობა იქნებოდა, ბედკრული ძველი ეგვიპტელი ენაბლუ, ძველეგვიპტურსავე ენაზე მოთქმით როგორ ცდილობდა ამ ხვედრის თავიდან აცილებას, მაგრამ როგორც ყველა, ძველი ეგვიპტელი ხალხიც „ბრძენი და შეუვალი“ იყო.

ძველ რომში ენაბლუებს რაიმე ფიზიკურ ზიანს თითქოს არ აყენებდნენ, მაგრამ რომაელი დიდებულების კარზე არსებულ კარის თეატრებში ენაბლუ მსახიობი მეტად ფასობდა. წარმოვიდგინოთ, თრაკიული ხარის მწვადითა და ბერძნული ღვინით მთვრალი რომაელი ჯეელი, რომელიც მარმარილოს მაგიდაზე (ძველი რომაელებს ნადიმის შემდეგ, სანადიმო მაგიდებზე წამოწოლა ჰქონდათ ჩვეად) წამოწოლილა, ხელში ღვინით სავსე ვერცხლის თასი უჭირავს და ხითხითით ისმენს ენაბლუ მსახიობის მონოლოგს, რომელიც სასაცილო მხოლოდ იმიტომაა, რომ მსახიობს ყოველი სიტყვის წარმოთქმა დიდ ოფლისღვრად უჯდება. თუ რომაელი დიდებული კარგ ხასიათზე იყო, ენაბლუ მსახიობს პირს ოქროთიც კი ამოუვსებდა. მაგრამ, როცა გუნებაზედ ვერ იყო, წარმოსადგენადაც კი ძნელია, რა შეიძლება მოემოქმედა ვაგლახად დაცემული მსახიობის წინააღმდეგ.

ენაბლუები არ უყვარდათ ძველ რუსეთში. ეგვიპტელების მსგავსად, რუსებიც ფიქრობდნენ, რომ ენაბრგვილობაში ბოროტი ძალების ხელი ერია და თუკი ეგვიპტელები ენაბლუთა „განკურნებას“ ცდილობდნენ, რუსთა წინაპრები კონკრეტულ პერიოდში ენაბლუებს ხოცავდნენ კიდეც. მაგალითად, რიაზანის მთავარმა ანტონმა, თავის სამფლობელოში მცხოვრები ყველა ენაბლუ ამოხოცა. მოირწყა რუსეთის მიწა უცოდველ ენაბლუთა სისხლით და ასეთ საშინელ ფაქტებს აბა ვინ შეიტანდა სასკოლო სახელმძღვანელოში?! მერე ცნობილი გახდა, რომ ანტონის შვილიც ენაბლუ იყო და ჭკუასუსტმა მამამ შვილის „დაავადება“ სხვა ენაბლუების ბედშავ არსებობას დააბრალა.

საქართველოში ენაბლუებს საბედნიეროდ არც ხოცავდნენ, არც ენას უჭრიდნენ და არც მთავრების გამრთობებად ჰყავდათ. მაგრამ, ტყუილი იქნება თუკი ვიტყვით, რომ ძალიან უყვარდათ და გულზე ეხატებოდათ. ამის დასტურად თუნდაც ის შეგვიძლია მოვიყვანოთ, რომ მეცხრამეტე საუკუნემდე, არც ერთ ქართულ საისტორიო წყაროში თუ მხატვრულ ლიტერატურაში ენაბლუ ადამიანებზე არაფერი წერია, რაც ძალიან უცნაურია.

თუმცა, მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, ენაბლუ გმირები არაერთ ქართველ მწერალს: ილიას, მიხეილ ჯავახიშვილს, ნოდარ დუმბაძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, რეზო ინანიშვილს და სხვებს ჰყავდათ. ყველაზე გამოსარჩევი ალბათ მაინც, მიხეილ ჯავახიშვილის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გმირი, თეიმურაზ ხევისთავია, რომელიც მწერალმა ენაბლუდ იმიტომ გამოიყვანა, რომ მისი პიროვნული პორტრეტი უფრო მკვეთრი და მკაფიო გაეხადა. ქართლელი ბოთე თავადი, რომელსაც წიგნების მეტი არაფერი აინტერესებს, კაცი რომელსაც საკუთარმა მოჯამაგირემ სახლ-კარი და ცოლი წაართვა. კაცი, სადაც ამდენი რამე ერთად სჭირს, „აუცილებლად ენაბლუც უნდა იყოს“ და მივიღებთ „დაკნინებული საქართველოს სახეს“ – როგორი კუთხითაც ჩვენ „ჯაყოს ხიზნების“ შინაარსს სკოლაში გვასწავლიდნენ.

თბილისს 10-ის ნაცვლად 18 მაჟორიტარი ეყოლება

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„ოცნება“ ჯერ კიდევ შევარდნაძისა და შემდეგ სააკაშვილის მიერ დაგებულ საარჩევნო ხლართებში გაიჭედა! როგორც იქნა, ქვეყანაში ვიღაცამ აღიარა, რომ არსებული მაჟორიტარული სისტემით, ამომრჩევლების ხმა უკიდურესად არათანაბრად ნაწილდება და ზოგიერთ ოლქში ერთი ხმა სხვა ოლქის 100 ხმას უდრის. ჯამში კი, პარლამენტში ორივე ოლქიდან თითო წარმომადგენელი ხვდება. საკონსტიტუციო სასამართლომ რამდენიმე დღის წინ პარლამენტს სწორედ ამ შეუსაბამობაზე მიუთითა და ხმათა გათანაბრება მოითხოვა.



ცხადია, ეს საკითხები მოსახლეობის ინტერესის სფეროში მხოლოდ ლარის გამყარებისა და პენსიების ზრდის შემდეგ შეიძლება მოხვდეს. სწორედ ამით ისარგებლეს შევარდნაძე-სააკაშვილის ხელისუფლებებმა თავის დროზე და ამით სარგებლობს ახლა „ოცნებაც“, რომელსაც დრო გაჰყავს და ოპტიმალურ ვარიანტს ეძებს, როგორ არ დაკარგოს არსებული სისტემის წყალობით წინასწარგანაღდებული რამდენიმე ათეული მანდატი! ამიტომ რთულად გასაგები საარჩევნო ტერმინების გარეშე, იმის ახსნას შევეცდებით, რა იცვლება ჩვენთვის, რიგითი ამომრჩევლისთვის იმით, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით, თითოეული ჩვენგანის ხმას ერთი და იგივე ძალა ექნება, როგორ ისარგებლებს ამით ხელისუფლება, როგორ გამსხვილდება ან პირიქით, დაიყოფა მაჟორიტარული ოლქები, შეცვლის თუ არა ეს ცვლილება პარლამენტში დეპუტატთა რაოდენობას და ვინ როგორ იხეირებს არჩევნების წინ გამართული პოლიტიკური ვაჭრობით ოპოზიციასთან?!

ახლა ჩვენთან არჩევნების შერეული სისტემა მოქმედებს, რომლის მიხედვით, 73 რაიონიდან 73 მაჟორიტარს ვირჩევთ, დანარჩენი 77 ადგილი, 150-კაციან პარლამენტში კი 5%-იანი ბარიერის გადამლახავი პარტიების სიებით ივსება. დღეს ყველა საარჩევნო ოლქი ერთმანდატიანია, რის გამოც, მაგალითად, 150 000-კაციან ქუთაისსაც ერთი წარმომადგენელი ჰყავს პარლამენტში და 5 000-კაციან ლენტეხს, 6000-კაციან ონსა და 8000-კაციან მესტიასაც. წლებია, ამის გამო განვითარებული მსოფლიო ზრდილობიანად დაგვცინის, რჩევებსა და ფულს გვახარჯავს, კონფერენციებს გვიმართავს, ხან თითს გვიქნევს, ხან გვეხვეწება, მაგრამ ქართულ საარჩევნო კოდექსს საშველი არა და არ დაადგა. ყველა ხელისუფლებამ მარტივი გზა აირჩია, ზედმეტ შრომას მოერიდა და საარჩევნო ოლქების საზღვრები პირდაპირ რაიონების საზღვრებს შემოატარა. არადა, ქუთაისს იმდენი ამომრჩეველი ჰყავს, მხოლოდ მასთან გასათანაბრებლად, შესაძლოა, მესტია კი არა, მთელი სვანეთი არ გვეყოს. თუმცა ეს პროცესი და სასამართლოს გადაწყვეტილება იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მაჟორიტარული არჩევნები საერთოდ არ უნდა ჩატარდეს — მაშინ გამოდის, სხვადასხვა რაიონების წარმომადგენლებს არ ეყოლებათ თავიანთი „ხმა პარლამენტში“. სხვა საქმეა, ამ 73 კაციდან ვის რა გაუკეთებია საკუთარი ამომრჩევლისთვის და არჩევნების მერე თავისი რაიონის რომელიმე სოფელში ფეხი ერთხელ მაინც თუ ჩაუდგამთ.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მაჟორიტარსა და პარტიული სიით გასულ დეპუტატს იდენტური უფლებამოსილებები აქვთ პარლამენტში. ნებისმიერ შემთხვევაში, მაჟორიტარული წესის მთლიანად გაუქმებას საკონსტიტუციო უმრავლესობა, ანუ მმართველ კოალიციასთან ერთად, მინიმუმ, ნაციონალების დახმარება და 113 ხმა სჭირდება. ამ შემთხვევაში, საქმე პირიქითაა — ნაციონალები, ხელისუფლებაში ყოფნის დროს, თავგამოდებით იცავდნენ მაჟორიტარების კორპუსს. სხვათა შორის, მაშინ ზვიად ძიძიგური და სხვები 17 დღის განმავლობაში სწორედ ამ მოთხოვნით შიმშილობდნენ. დღეს კი იგივე ძიძიგურია ხელისუფლებაში და მასთან ერთად, სხვა პარტიები, რომლებსაც მაჟორიტარების კორპუსი აღარ ეთმობათ, რადგან ამით გარანტირებულ მანდატებსა და ბოლო ბოლო, ბიზნესმენ, ფულიან კოლეგებს კარგავენ. სამაგიეროდ, საკონსტიტუციო ცვლილება არ სჭირდება მანდატებისა და ხმების გათანაბრებას, ამისთვის საჭიროა მხოლოდ ერთი ჩასწორება ორგანულ კანონში, სადაც წერია, რომ თბილისს 10 მაჟორიტარი ჰყავს. ხმათა გათანაბრების პრინციპით კი, მაგალითად, გლდანისა და სხვა თავკომბალა რაიონების დაყოფაც მოუწევთ. ეს არ ნიშნავს, რომ დეპუტატთა რაოდენობა იზრდება, ან მცირდება. ეს რიცხვი კონსტიტუციურადაა დადგენილი და ნებისმიერი სისტემის შემთხვევაში, პარლამენტში 150 კაცი უნდა იყოს. აქ კიდევ ერთი, კუთხური სეპარატიზმის საფრთხეცაა — როცა მარადმწვანე მაჟორიტარი სვანეთიდან, ვიქტორ ჯაფარიძე რეგიონის ავტონომიაზე საუბრობს, დათანხმდება თუ არა სვანეთისთვის სამეგრელოს სოფლების შემოერთებას, საიდანაც ხმებს ვერ აიღებს?! ეს საფრთხეც გვერდზე იყოს — რა უნდა გახდეს ის ერთი მდგენელი, რაზეც ყველა უნდა შეთანხმდეს და მაჟორიტარული ოლქები ამ წესით გაათანაბროს?! „ვერსიისთვის“ კომენტარს ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე და ოპოზიციური პარტიის ლიდერი **ზურაბ ხარატიშვილი** აკეთებს: **„ხმათა გასათანაბრებლად, შესაძლოა ვთქვათ, აჭარისა და სვანეთის გაერთიანება მოგვიხდეს, თუმცა იმერეთი აჭარა-სვანეთზე ერთად უფრო დიდია. ის საერთო მდგენელი, რაზეც ყველა უნდა შეთანხმდეს ასე უნდა დავითვალოთ — ამომრჩეველთა რაოდენობა უნდა გაიყოს 73-ზე, ანუ მაჟორიტარული მანდატების რაოდენობაზე, რაც, დაახლოებით, 50 000-მდე ადამიანი გამოდის. ამავე მიდგომით, თბილისში, სადაც დღეს 10 მაჟორიტარი გვყავს, 18 მაჟორიტარი გვეყოლება, თუმცა ამისთვის კანონის შეცვლაა საჭირო. რომ არა ჩანაწერი კანონში, ალბათ, ხელისუფლება ამ კანონსაც გვერდს აუვლიდა და საარჩევნო ოლქების საზღვრების შეცვლას მთლიანად ცესკო-ს გადააბარებდა. თუმცა აქ სხვა საკითხი დგება დღის წესრიგში, რაც დიდ არეულობასა და გაუგებრობას გამოიწვევს. აქამდე რაიონების საზღვარი გარკვეული იყო და მოსახლეობამ იცოდა, მისი სოფელი რომელ ოლქში შედიოდა. ახლა კი ერთი გაწევ-გამოწევა წავა, რომელი სოფელი რომელ ოლქს მიაკუთვნონ. ერთ კლასიკურ მაგალითს გეტყვით: ამერიკაში, ერთ-ერთმა გუბერნატორმა ისე დაყო საარჩევნო უბნები ოლქებად, რომ საკუთარი გამარჯვება უზრუნველყო. მაგალითად, ხარაგაული პატარაა, ზესტაფონი დიდია. გამოდის, რომ ზესტაფონს უნდა მოაჭრან სოფლები და ხარაგაულს მიუმატონ. ხარაგაულელი კანდიდატი ჩათვლის, რომ ზესტაფონის სოფლებში შანსი არ ექნება და ასე ვერასდროს შეთანხმდებიან. ამ საზღვრების ახლიდან დაყოფას დიდი ქაოსი და წივილ-კივილი „ოცნებაშიც“ მოჰყვება. სწორედ ამიტომ ამბობს ოპოზიცია, პრეზიდენტი, არასამთავრობო და საერთაშორისო სექტორი, რომ არჩევნები საერთო პროპორციული და რეგიონულ-პროპორციული წესით ჩავატაროთ. ასე პარტიებსაც განვითარების მეტი შანსი მიეცემა, არც მაჟორიტარული კომპონენტი დაიკარგება და არც საზღვრების შეცვლა და მაიმუნობა დაგვჭირდება. პირდაპირ რომ ვთქვათ, დღევანდელი სისტემა ხელისუფლებას 20-30-მანდატიან ფორას აძლევს. მაგალითად, თბილისში „ოცნებამ“ ხმების 44% აიღო, მაგრამ 76 მანდატი ერგო. პროპორციული სისტემა კი იმას უზრუნველყოფს, რომ ყველას იმდენი ადგილი ერგოს პარლამენტში, რამდენ ხმასაც აიღებს. იმედია, „ოცნებას“ გონიერება ეყოფა და საკუთარი თავისა და მომავალი არჩევნების დელეგიტიმაციისკენ არ წავა“.** თუმცა ჩვენი ინფორმაციით, ამ ეტაპზე, ხელისუფლებას ჭკუა თუ პოლიტიკური ნება მხოლოდ ოპოზიციასთან ვაჭრობისთვის ჰყოფნის. „ოცნებამ“ ვადა ამ კვირის ბოლომდე ითხოვა, რათა შეჯერდეს, რა ფორმით შეიცვლება ეს ხარვეზი. ამასობაში კი, კოალიციის რამდენიმე დეპუტატმა განაცხადა, რომ მაჟორიტარების ასარჩევ ბარიერს 50%-მდე გაზრდიან და შესაძლოა, პარტიების 5-%იანი ბარიერიც დაწიონ. ეს ჩვეულებრივი ფანდია, რათა არასაპარლამენტო ოპოზიციისა და პრეზიდენტ მარგველაშვილის მიერ დასმულ საკითხს არ შეეხონ, თუმცა თქვან, რომ რაღაც მათაც დათმეს. ამავე კვირაში, ოპოზიციის ინიციატივით, პარლამენტარები ხელს პრეზიდენტისა და ოპოზიციის მიერ წარდგენილ მემორანდუმსაც მოაწერენ საარჩევნო ცვლილებების შესახებ და კვირის ბოლოს გაასაჯაროებენ, ვინ წავიდა პარლამენტში სისტემის გაუმჯობესების წინააღმდეგ. ამ ეტაპზე კი, ჩვენი ინფორმაციით, ოპოზიციურ მემორანდუმს ხელს ნაციონალები, თავისუფალი დემოკრატები და დამოუკიდებელი დეპუტატი, მურმან დუმბაძე აწერენ. სწორედ არასაპარლამენტო ოპოზიციასთან ვაჭრობს „ოცნება“ და ამას არც მალავს. ორი დღის წინ, ჩვენთან ინტერვიუში რესპუბლიკელების პირით, ხელისუფლებამ ახალი თემა შემოაგდო. **დავით ბერძენიშვილი: „აქ მხოლოდ საარჩევნო სისტემის საკითხი არ დგას, სხვა თემებიც მნიშვნელოვანია. მაგალითად, ნაციონალები კოდექსის ცვლილებას მხარს უჭერენ, მაგრამ პრეზიდენტის არაპირდაპირი წესით არჩევას დაუჭერენ?! რაღაცაზე ერთი პოლიტიკური ჯგუფია შეთანხმებული, რაღაცაზე — მეორე. ისე ვერ ვიზამთ, რაც ჩვენ მიგვაჩნია სწორად, იმაზე საერთოდ არ ვისაუბროთ. საპარლამენტო რესპუბლიკების უმრავლესობაში, პრეზიდენტი პირდაპირი წესით არ ირჩევა. არასოდეს დაგვიმალავს, რომ საპარლამენტო რესპუბლიკებში პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი არასწორი და არაადეკვატურია. გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე ყველა რაიონში, დაახლოებით 200 კაცია, დეპუტატების ჩათვლით, სულ 350-მდე ადამიანი რომ ირჩევდეს საქართველოს პრეზიდენტს, ეს გაცილებით ადეკვატურია. თუმცა ამაზე სხვა პარტიები არ წამოვლენ“.** ერთი სავაჭრო თემა ოპოზიციასთან ესაა — წამოვალთ საარჩევნო ცვლილებებზე, თუ თქვენ დაგვთანხმდებით, რომ პრეზიდენტი ხალხმა კი არა, პარლამენტმა აირჩიოსო. მეორე საკითხი კი, რაზეც ვაჭრობას აზრი მხოლოდ ნაციონალებთან აქვს, პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანაა. ამასაც, ცხადია, საკონსტიტუციო ცვლილება სჭირდება, რაც ექსხელისუფლების ხმების გარეშე გამორიცხულია. არადა, რა შუაშია პარლამენტის დაკომპლექტებისა და მაჟორიტარების არჩევის წესთან პრეზიდენტის არჩევნები და ქუთაისის პარლამენტი! ეს, არაპირდაპირ, უარის თქმაა რეალურ ცვლილებებზე საარჩევნო სისტემაში, რადგან მიუხედავად ადმინისტრაციული ბერკეტებისა, ხელისუფლება მაინც წაგებული რჩება. ერთი მხრივ, პრეზიდენტი და ოპოზიცია უჯანყდება, მეორე მხრივ, რეიტინგი უვარდება, განსაკუთრებით თბილისში და თან, თბილისს ახლა 10-ის ნაცვლად 18 კაცი ეყოლება პარლამენტში, რაც „ოცნებისთვის“ გარანტირებულ 18 მანდატს ნამდვილად არ ნიშნავს.

ვერსიანიუსი

შსს-მ სამცხე-ჯავახეთში დიდი ოდენობით ფალსიფიცირებული მარილი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1957 წელს დაბადებული მარტინ ბ. ფალსიფიკაციის ფაქტზე ამხილეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მარტინ ბ. საკუთარი საცხოვრებელი სახლის ეზოში არსებულ საამქროში ორი წლის განმავლობაში კუსტარულად ამზადებდა ჯანმრთელობისთვის საშიშ, ფალსიფიცირებულ ორგანულ მარილს, რომლის რეალიზაციასაც ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში ახდენდა. სამართალდამცველებმა მარტინ ბ-ს საცხოვრებელი სახლისა და ავტომანქანის ჩხრეკისას სარეალიზაციოდ გამზადებული, 3 ტონა 200 კგ დაფასოებული მარილი ამოიღეს.

გამოძიება ფალსიფიკაციის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 197 მუხლის 1-ლი ნაწილით).

შსს-მ მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოსა და გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ივანე გ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით თბილისში დააკავეს. გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა 1951 წელს დაბადებულ ზოზანა ა-ს, თემქის დასახლებაში, მისივე საცხოვრებელ ბინაში, შურისძიების მიზნით, ცივი იარაღით სხეულის სხვადასხვა არეში სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო მოქმედებების შედეგად, ივანე გ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108 მუხლით).

„ვერსიანიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

მოქალაქეს ონლაინმაღაზიაში ბოთლის 100 საცობის განბაჟებას სთხოვენ

როგორ უნდა მოიქცეთ, თუ საბაჟოზე თქვენი უფლებები ირღვევა

თუ თქვენთვის სასურველ პროდუქციას ონლაინ-მაღაზიებიდან იწერთ, იმ უსიამოვნო „სიურპრიზისთვისაც“ მოემზადეთ, რომელსაც საზღვარგარეთიდან საქართველოში ტრანსპორტირების კომპანია შემოგთავაზებთ. შესაძლოა, ერთ, არც ისე მშვენიერ დღეს „აღმოაჩინოთ“, რომ თქვენს მიერ სხვადასხვა საიტიდან გამოწერილი საქონელი, რომლის ღირებულება 300 ლარს არ აჭარბებს და კანონის თანახმად, განბაჟებას არ ექვემდებარება, მაინც განსაბაჟებელი გაგიხდეთ. „ვერსია“ შეეცადა გაერკვია, რას ნიშნავს ასეთი დამოკიდებულება — ხარვეზს საგადასახადო კოდექსში თუ შესაბამისი კომპანიების წარმომადგენლების არაკომპეტენტურობასა და გულგრილ დამოკიდებულებას.

USA2Georgia-ს მოულოდნელი „სიურპრიზი“

რამდენიმე დღის წინ, საქართველოს მოქალაქემ ონლაინ-მაღაზია amazon-ზე, პირადი მოხმარების მიზნით, ბოთლის საცობების 4 შეკვრა შეიძინა, თითოეულ შეკვრაში 25 ცალი საცობი იყო განთავსებული. ჯამში, 75 აშშ დოლარი და 76 ცენტი გადაიხადა. მას შემდეგ, რაც ონლაინმაღაზიიდან მიუვიდა შეტყობინება, რომ მისი ტვირთი უკვე ამერიკიდან საქართველოში გამოიგზავნა, როგორც წესი, ინვოისი შეავსო და ტვირთიც დაადეკლარირა. ამის შემდეგ, ელექტრონული ფოსტის საშუალებით USA2Georgia-დან დაუკავშირდნენ და შეატყობინეს, რომ ტვირთი უნდა განებაჟებინა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, განბაჟებას არ ექვემდებარება ტვირთი, რომლის ღირებულება 300 ლარს, ხოლო წონა — 30კგ-ს არ აღემატება. მოქალაქემ USA 2 Georgia-ს ვებ-გვერდზე მითითებულ ნომერზე დარეკა და სიტუაციაში გარკვევა სცადა, რადგან მის მიერ შეძენილი პროდუქცია 300 ლართან მიახლოებულიც კი არ ყოფილა და კანონით. კომპანიის ერთ-ერთმა ოპერატორმა განუმარტა, რომ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მოთხოვნით, ვალდებული იყო, განბაჟების თანხა გადაეხადა და დაუზუსტა, რომ ეს 4 შეკვრა საცობი ერთგვაროვან პროდუქციად ჩაუთვალეს.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოქალაქეს არასწორად დააკისრეს სახელმწიფო ბაჟის გადახდა. ბოთლის საცობების 4 შეკვრა, სულ 100 ცალი საცობი, მას პირადი მოხმარების მიზნით სჭირდებოდა და არა სამეწარმეო საქმიანობისთვის. მეტიც, ამ მოქალაქეს საერთოდ არ აქვს შეხება ღვინის ბიზნესთან. დავუშვათ, რომელიმე ონლაინმაღაზიის საიტზე თქვენთვის სასურველი ნივთის, ან ნივთების შეძენა გადაწყვიტეთ, მაგალითად, ძალიან იაფად ნახეთ მაღალი ხარისხის წინდა, ერთ ან ორ ცალს ხომ არ შეიძენთ? ცხადია, 3-4 შეკვრას იყიდით, ოღონდ სამეწარმეო საქმიანობისთვის კი არა, თქვენთვის და თქვენი ოჯახის წევრებისთვის. რატომ უნდა დაექვემდებაროს ასეთი, თუნდაც ერთგვაროვანი სახის პროდუქცია განბაჟებას?

საინტერესოა ისიც, რომ არც საგადასახადო კოდექსში და ზოგადად, ამერიკიდან საქართველოში ტრანსპორტირების არცერთი კომპანიის ვებგვერდზე განმარტებული არ არის, კონკრეტულად, რა რაოდენობის პროდუქცია ითვლება ერთგვაროვნად. პირობითად, თუ რომელიმე ონლაინმაღაზიაში 15 კაბას და 10 შარვალს შეიძენთ, რომელთა ღირებულება 300 ლარს არ აჭარბებს, ლოგიკურია, საბაჟოზე პრობლემა შეგექმნათ, ანუ ჩათვალონ, რომ 15 კაბა და 10 შარვალი პირადი მოხმარებისთვის კი არა, სამეწარმეო საქმიანობისთვის შეიძინეთ. თუმცა, თუ 2 კაბას, 3 შარვალსა და 4 პერანგს იყიდით, რომელთა ღირებულებაც 300 ლარს არ აჭარბებს, მაგრამ მაინც ერთგვაროვან პროდუქციად ითვლება, გაუგებარია, ასეთი მინიმალური რაოდენობა განბაჟებას რატომ უნდა დაექვემდებაროს?

რა შემთხვევაში უნდა განაბაჟოთ პროდუქცია

USA2Georgia გთავაზობთ თქვენს საფოსტო მისამართს ამერიკაში, ინდივიდუალური ოთახის ნომრით. შეგიძლიათ, ეს მისამართი ონლაინმაღაზიებში მიუთითოთ. როდესაც ამანათი ამერიკაში, თქვენს მისამართზე შემოვა, კომპანიის საფოსტო სერვისი საქართველოში მის გამოგზავნას უზრუნველყოფს და კურიერიც მოგართმევთ მითითებულ მისამართზე. ამერიკიდან საქართველოში ტვირთის ტრანსპორტირების ვადა, საშუალოდ, 1 კვირაა. თქვენ მხოლოდ ტვირთის ტრანსპორტირების ღირებულებას იხდით, მაგრამ თუ პროდუქცია განბაჟებას ექვემდებარება, გამარტივებული საბაჟო პროცედურების გავლით უნდა განბაჟდეს. ამ შემთხვევაში, ხარჯებს საბაჟო ღირებულების 18% (დღგ) და დოკუმენტაციის მომზადების ფასი — 12 ლარი დაემატება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ტვირთი განბაჟებას ექვემდებარება და შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდა იმ შემთხვევებში მოგიწევთ, თუ ერთ რეისზე ჩამოსული ტვირთის საერთო ღირებულება 300 ლარს, ხოლო წონა — 30 კილოგრამს აღემატება; თუ ამანათში ერთგვაროვანი საქონელი აღმოჩნდება (აქ მითითებული არ არის, კონკრეტულად, რა რაოდენობის პროდუქცია ითვლება ერთგვაროვნად, — ავტ.) და თუ ტვირთი იურიდიული პირის სახელზე, კომერციული საქმიანობისთვისაა გამოგზავნილი.

იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციას სხვადასხვა საიტიდან (ონლაინმაღაზიიდან) გამოიწერთ და ჯამში, 300 ლარს ასცდებით, თუმცა თითოეულ მაღაზიაში შეძენილი პროდუქციის ღირებულება 300 ლარს არ აღემატება, თქვენი ამანათი განბაჟებას არ დაექვემდებარება. თუ ერთ რეისზე ჩამოსული ამანათების ჯამური თანხა 300 ლარს სცდება და ამ პროდუქციას ერთი და იმავე საიტიდან გამოიწერთ, ამანათები უნდა განაბაჟოთ. 300 ლარი ანგარიშდება მხოლოდ პროდუქციის ფასის მიხედვით და არ ემატება „შიპინგის“ თანხა, მაგრამ თუ პროდუქციის ფასი 300 ლარს სცდება, განბაჟების დროს ემატება შიდა „შიპინგისა“ და ამერიკიდან საქართველომდე ტრანსპორტირების ხარჯი. განსაბაჟებელი პროდუქციის განბაჟება ხდება ოფისში. ოპერატორი დაგიბეჭდავთ დეკლარაციის ფორმა 4-ს, გაიტანთ ამანათს და სახელმწიფო ბაჟს 30 დღის განმავლობაში გადაიხდით.

აუცილებელია, თქვენს „ექაუნთზე“ ყველა საჭირო ინფორმაცია დროულად შეიტანოთ შეუვსებელ გრაფებში, მაგალითად, „თრექინგის“ ნომერი, პროდუქციის ღირებულება, ონლაინ-მაღაზიის სახელწოდება და ტვირთის მოკლე აღწერა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი ტვირთი „პრობლემურ ნუსხაში“ მოხვდება და საბაჟო ექსპერტიზაზე გადაიგზავნება, რათა მისი ღირებულება დადგინდეს. შედეგად, ამანათის გაცემა გაურკვეველი ვადით შეფერხდება. ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ ამანათის დეკლარირება სავალდებულოა იმის მიუხედავად, ექვემდებარება თუ არა პროდუქცია განბაჟებას და იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ რეისზე მოხვედრილი ამანათების ღირებულება 300 ლარს გადააჭარბებს.

რა უნდა შეიცვალოს საგადასახადო კოდექსში

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **ლევან კალანდაძე**, „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ საგადასახადო კოდექსში ცალსახადაა განმარტებული, რა შემთხვევაში არ ექვემდებარება პროდუქცია განბაჟებას. მისი თქმით, მნიშვნელობა არ აქვს, პროდუქცია ერთგვაროვანია, თუ არა: **„არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ადამიანმა 100 ცალი ბოთლის საცობი შეიძინა, კალმისტარი, რვეული, თუ ტანსაცმელი. მთავარია, მის მიერ შეძენილი პროდუქციის წონა 30 კგ-ს, ხოლო ღირებულება — 300 ლარს არ აღემატებოდეს. ვფიქრობ, თუ ეს მოქალაქე შესაბამის უწყებებს მიმართავს და მის მიერ შეძენილი პროდუქციის განბაჟების მოთხოვნას გაასაჩივრებს, პროცესს აუცილებლად მოიგებს. შემოსავლების სამსახურშიც კარგად იციან, რომ USA2Georgia-ს ოპერატორის მოთხოვნა, რბილად რომ ვთქვათ, არაკომპეტენტურია“.**

ლევან კალანდაძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ სხვადასხვა ონლაინმაღაზიაში შეძენილი პროდუქციის საქართველოში ტრანსპორტირების შემთხვევაში გამოვლენილი დარღვევები სისტემურ ხასიათს არ ატარებს. შესაძლოა, ამ მოქალაქის მსგავსად, სხვასაც შეექმნას პრობლემა, თუ პირობითად, 3 წყვილ ფეხსაცმელს შეიძენს, რასაც ერთგვაროვან პროდუქციად ჩაუთვლიან, თუმცა ფაქტია, რომ ამ შემთხვევაშიც ადამიანს ეს 3 წყვილი ფეხსაცმელი პირადი მოხმარების მიზნით სჭირდება: **„ვფიქრობ, საგადასახადო კოდექსში უნდა შევიდეს ცვლილება. აუცილებელია დაზუსტდეს, რა ითვლება ერთგვაროვან საქონლად. თუ გადაწყვეტენ, რომ 3 წყვილ ფეხსაცმელზე, ან ბოთლის 100 ცალ საცობზე მეტი ერთგვაროვან პროდუქციად ითვლება, კი ბატონო, ასე იყოს, მაგრამ კანონში ეს კარგად უნდა განვმარტოთ. პირადად მე მიმაჩნია, რომ როდესაც საგადასახადო კოდექსში უკვე მითითებულია ტვირთის წონა და ღირებულება, რომელსაც არ უნდა გადააჭარბოთ, სიტყვა ერთგვაროვანი საერთოდ არ უნდა არსებობდეს. შესაბამისად, კანონის ეს მუხლი ასე უნდა დაზუსტდეს: სახელმწიფო განბაჟებას არ ექვემდებარება პროდუქცია, რომლის წონა 30 კგ-ს, ხოლო ღირებულება 300 ლარს არ აჭარბებს. მერწმუნეთ, კიდევ ერთი მოთხოვნა, რომ პროდუქცია ერთგვაროვანი არ უნდა იყოს, სრულიად ზედმეტია. რაც მთავარია, ამ სიტყვის კანონში არსებობა უხერხულ მდგომარეობაში აგდებს შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებს, რომლებსაც დამატებითი ახსნა-განმარტება უწევთ, უნდა განაბაჟონ თუ არა ადამიანებმა მათ მიერ შეძენილი პროდუქცია“.**

ლევან კალანდაძის თქმით, წარმოუდგენელია, რომ საქონელი, რომლის ღირებულებაც 300 ლარს არ სცდება, ადამიანმა სამეწარმეო საქმიანობისთვის გამოიყენოს. მით უმეტეს ახლა, როდესაც ლარის დევალვაციის პირობებში, 300 ლარის ღირებულების საქონელი, 150 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს. რა სახის პროდუქცია, ან რამდენი უნდა შეიძინოთ 150 დოლარად, რომ მერე სამეწარმეო საქმიანობისთვის გამოიყენოთ?

ლევან კალანდაძის განცხადებით, სწორედ ამიტომაა აუცილებელი საგადასახადო კოდექსის საფუძვლიანი ცვლილება და არა მარტო იმ მუხლების კორექტირება, რომლებიც ორმაგი ინტერპრეტაციით იკითხება. მისივე თქმით, საგადასახადო კოდექსში ისეთი გაუგებრობებიც უნდა აღმოფხვრას, როდესაც გაურკვეველია, კონკრეტულად რა შემთხვევაში და რა რაოდენობის საქონელი ითვლება ერთგვაროვნად.

ოფიციალური ვერსია

„ვერსია“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, **ხატია მოისწრაფიშვილს** დაუკავშირდა: **„მიმდინარე წლის 1 ივნისს, გაფორმების ეკონომიკური ზონა „აეროპორტის“ უფლებამოსილი პირის მიერ გადამზიდველი კომპანია USA2GEORGIA-ს მეშვეობით, აშშ-დან გამოგზავნილი სხვადასხვა პირების კუთვნილი საფოსტო გზავნილების სკანირების დროს, ფიზიკურად დათვალიერებული იქნა მოქალაქის გზავნილი 420197269261299998825441434469. აღნიშნული საფოსტო გზავნილი, ჩვენს მიერ, თავდაპირველად მიჩნეული იქნა ეკონომიკური საქმიანობისათვის განკუთვნილად. ხელმეორედ გადამოწმებისას, გზავნილში მოთავსებული საქონლის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება საქონელზე იმპორტის გადასახდელების გადახდის გარეშე გაშვების თაობაზე“.**

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ სხვადასხვა ონლაინმაღაზიის საშუალებით, თქვენთვის სასურველ პროდუქციას ამერიკიდან ან ევროპიდან იწერთ და ამ მოქალაქის მსგავსად, ეჭვი შეგეპარებათ, რომ თქვენი ტვირთის განბაჟებას უკანონოდ გთხოვენ, ვიდრე საგადასახადო კოდექსში გარკვეული ცვლილებები შევა, უმჯობესია, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მიმართოთ.

ვერსიანიუსი

შსს-მ ქობულეთში სწრაფი ჩარიცხვის აპარატის გაქურდვის ფაქტი აღკვეთა

შსს-ს აჭარის მთავარი სამმართველოს ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული ილია ო. და 1995 წელს დაბადებული თორნიკე ჭ. ჯგუფური ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები ქობულეთის რაიონის დაბა ჩაქვში, თამარ მეფის ქუჩაზე ღამით იმ დროს დააკავეს, როდესაც მათ სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით სწრაფი ჩარიცხვის აპარატი დააზიანეს და თანხის შესანახი ყუთი მიითვისეს. დაკავებულების პირადი ჩხრეკისას დანაშაულის ჩადენის ინსტრუმენტები და რეზინის ხელთათმანები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ილია ო. აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. იგი ასევე მის მიერ მიმდინარე წლის მაისში, ქობულეთში, სხვადასხვა ქუჩაზე, სწრაფი ჩარიცხვის აპარატების გაქურდვის 4 ფაქტსაც აღიარებს.

გამოძიება მიმდინარეობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის ფაქტზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია (საქართველოს სსკ-ს 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

თაღლითობა ებრაულად

როგორ „დააბოღეს“ ჰოლანდიელები საქართველოს მოქალაქეებმა

პატიმარი №0578

90-იანი წლების დასაწყისში, რუსეთის საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილება შევიდა — რუსეთმა ქვეყანაში ჰაერის შეტანა დაბეგრა. ასეთი უცნაური გადაწყვეტილების მიზეზი კი ის სქემა იყო, რომლის მიხედვითაც ებრაელმა ბიზნესმენმა დიდი ფული იშოვა. მან ისტორიული სამშობლოდან ჯერ ყვავილი ჩამოიტანა, მერე გამოაცხადა, ეს ყვავილი მხოლოდ ისრაელის ჰაერზე ხარობსო და სამშობლოდან შუშის სხვადასხვა ზომის ქილებით ჰაერის შემოტანა დაიწყო. რუსეთის კანონმდებლობით ჰაერი არ იბეგრებოდა და ხელისუფლება აზრზე მას შემდეგ მოვიდა, რაც რუსული ბაზარი ებრაული „შტოფებით“ გაივსო...

ცნობისათვის, დღეს ევროპისა და ასევე რუსეთის მაღაზიაში შეხვდებით ალუმინის ქილას, რომელსაც „სომხური ჰაერი“ აწერია და ემიგრანტებისთვის არის განკუთვნილი...

რუსთავის №17 დაწესებულებაში ებრაელი პატიმარი იჯდა. სასჯელს ნარკოტიკზე იხდიდა და სულ იმას გაიძახოდა, აქ რამ ჩამომიყვანა, ვიყავი ჩემთვის ჰოლანდიაში, არავინ არაფერს მიშლიდაო. რეალურად კი დიმა საქართველოში შეყვარებულის გამო დაბრუნდა, ცოლად უნდოდა მოეყვანა და იმის მიუხედავად, რომ 12 წელი ჰქონდა მისჯილი, გოგონამ თავგანწირვა დაუფასა და ხელი ციხეზე მოაწერეს. დიმას იმედი ჰქონდა, მამაჩემი რომ გამოვა ჰოლანდიის ციხიდან, ჩემს სანაცვლოდ დიდ ფულს გადაიხდის და გამიშვებენო. დიმას მამას, ბატონ ანტონს, ნიდერლანდებში თაღლითობის მუხლით სამი წელი ჰქონდა მისჯილი და როცა მასზე საუბრობდა, დიმას თვალები უცნაურად, ეშმაკურად უბრწყინავდა.

„დიმას გაუმარჯოს. როგორ ხარ? შენთან ერთი საკითხი მაქვს განსახილველი და 26-საუკუნოვან ძმობას გაფიცებ, უარი არ მითხრა“, — პატიმარი №0578 დიმას საკანი შევიდა და ებრაელ კოლეგას ღიმილით მიესალმა.

„26 საუკუნის რა გითხრა, მაგრამ თუ რამე შემიძლია...“ — აღარ დაამთავრა დიმამ.

„მომისმინე. როგორც ვიცი, მამაშენი თაღლითობის ბრალდებით ზის ციხეში. ებრაელებს სხვანაირად მოწყობილი ტვინი გაქვთ და შეგიძლია მითხრა, რა გააკეთა ისეთი, რის გამოც 3 წელი მისცეს? თანაც, როგორც მე ვიცი, ჰოლანდიური მართლმსაჯულება ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანურია და იქაური სამი წელი დიდ სასჯელად ითვლება“, — №0578 ნარზე ჩამოჯდა.

„ჰოო... კი უნდა მივმხვდარიყავი ისედაც, მითხრეს შენზე, ისტორიებს აგროვებსო. რა ქნა, ჩემო ძმაო და, დაასირა მთელი ჰოლანდია. ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით“, — გაიღიმა დიმამ.

„და უფრო დეტალურად ვერ მომიყვები?!“ — სიცილით უთხრა №0578-მა.

„კარგი. მოკლედ, ჩვენ გლდანში გვაქვს ბინა, აქ ვარ დაბადებული და გაზრდილი, მეც, მამაჩემიც... ბაბუა სოლოლაკში ცხოვრობდა, ალბათ იმის ბაბუაც, მერე იქ გავყიდეთ, აქ ვიყიდეთ და დარჩენილი ფულით ბიზნესი დაიწყო მამაჩემმა. ბიზნესმა არ გაამართლა და ჰოლანდიაში წავედით სამუშაოდ. ხან სად ვეძებეთ სამსახური, ხან სად და ბოლოს ქათმების ფერმაში აღმოვჩნდით. ჩვეულებრივი, ერთ-ერთი დიდი ფერმა იყო ქვეყანაში და ყველაფერი საათივით ჰქონდათ აწყობილი. დაახლოებით ერთ კვირაში მამაჩემმა ხელმძღვანელობასთან შეხვედრა ითხოვა. წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდოდა და ის ვიფიქრე, აქედანაც გაგვყრიან-მეთქი, მაგრამ პირველ შეხვედრას მეორე მოჰყვა, მერე მესამე და ორ კვირაში მამაჩემი ერთ-ერთი შეფი გახდა...

მოვლენების ასეთ განვითარებას სხვები კი არა, მე არ ვეღლოდი, ფერმამ საქმიანობა გაშალა, ბაზარზე მძლავრად შევიდა და ჩათვალე, მთელ ჰოლანდიაში მოწინავე გახდა. ერთი ეგ იყო, ფერმაში სიტუაცია ქათმებისთვის აშკარად შეიცვალა. თუ აქამდე ერთად იყვნენ ქათმები და კვერცხებს რეზინის ე.წ. მატარებელზე დებდნენ, ახლა ყველა ქათამს თივა შეუტანეს და საბუდარივით მოუწყვეს...

ხელფასის გარდა, მამაჩემს იმდენ პრემიას აძლევდნენ, ფული არ იცოდა, სად წაეღო. მე სამსახურიდან წამოვედი, მოვიწყვე პატარა სამოთხე და პლანსაც ვეწეოდი, შიგადაშიგ წამალსაც ვიკეთებდი და სულ მეკიდა, ჰოლანდიაში ვიყავი თუ ტაჯიკეთში. იდილია დაახლოებით რვა თვე გაგრძელდა. შემდეგ კი ფერმაში ქვეყნის საგადასახადო სამსახური შევიდა, მერე საგამოძიებო ორგანოები მიჰყვნენ და მამაჩემი დააკავეს. რა თქმა უნდა, სასამართლო არ გამიცდენია და იქ გავიგე, საიდან მოდიოდა ამხელა ფული.

თურმე, მამაჩემს გაურკვევია, რომ მთელ მსოფლიოში ყველაზე იაფი კვერცხი უკრაინაშია. არ ვიცი რატომ, მაგრამ უკრაინული კვერცხი ყველაზე იაფად ფასობს და ექსპორტი ევროპის ბევრ ქვეყანაში ხორციელდება. ჰოდა, მამაჩემმა ჰოლანდიელებს უთხრა, კვერცხი ექსპორტით შემოვიტანოთ და ჰოლანდიურ ბაზარზე როგორც ჩვენი წარმოება, ისე გავუშვათო. ისინი თავიდან არ დაეთანხმნენ, ჩვენ ქათმების ის რაოდენობა არ გვყავს, ამდენი კვერცხის რეალიზება მოვახდინოთ, ამიტომ, ჭარბი ოდენობის პირველივე გამოჩენაზე საგადასახადო შემოვაო. მამაჩემმა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო. ერთი თვეც არ იყო გასული, თურმე ფერმაში საგადასახადო შევიდა. მამაჩემმა უთხრა, მეცნიერი ვარ, ქათმების ფსიქოლოგიაზე ვიმუშავე და კვერცხის დება ასე გავაორმაგეო. კონკრეტულად კი აუხსნა, რომ თივით მოწყობილი საბუდარი გახვრიტა. დაჯდა ქათამი, დადო კვერცხი, წამოდგა, დახედა და კვერცხი ნახვრეტშია ჩავარდნილი. დაფიქრდა ქათამი, დაჯდა და დადო მეორე კვერცხი ათ წუთში. ასე აუხსნია მამაჩემს მეცნიერული მიღწევა და ისიც უთქვამს, ნახევარი წელი მოვუნდით ფსიქოლოგიის შეცვლას და კიდევ იმისას, რომ ორგანიზმი მზად ყოფილიყო მეორე კვერცხის დასადებად, თორემ ქათმები ძალიან ნერვიულობდნენ და კვერცხებს ნაჭუჭის გარეშე, მოუმზადებელს დებდნენო...

დაჯდა მერე მთელი ჰოლანდიის მეცნიერთა ელიტა და დაიწყო ექსპერიმენტი, რომელიც ექვს თვეში კი მიხვდები, რითიც დასრულდა. შევიდა ისევ საგადასახადო და მამაჩემი თაღლითობისთვის დააკავეს. თუმცა, იმდენი იშოვა ამ ხნის განმავლობაში, რომ უღირდა, რა, ის სამი წელი და თან ჰოლანდიის ციხეში. ჰოდა, რომ გამოვა, იმედი მაქვს, გადაიხდის და მეც გამიყვანს“, — დაასრულა მონოლოგი დიმამ.

„და რომ მიხვდა, გასაქცევად ჰქონდა საქმე, რატომ არ წავიდა?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„ვეღარ მოასწრო. ბიძაჩემი გაიქცა ცოტა ხნით ადრე და ჩვენს სახლს უთვალთვალებდნენ, ეგონათ, იქ იმალებოდა“, — გაეღიმა დიმას.

„ბიძაშენი რაღატო გაიქცა, ამ საქმეში იყო ისიც?!“ — დაინტერესდა №0578.

„არა. შენ მკვდარი ზღვა ხომ გაგიგია? ჰოდა, ბიძაჩემმა თქვა, მკვდარი ზღვის ტალახი მომაქვს და სამკურნალოაო. ნახევარი ჰოლანდია დადიოდა იმ ტალახის წასასმელად და რეალურად ტალახი ჭაობიდან მოგვქონდა, მერე მარლაში ვწურავდით და იმას ვუსმევდით. ერთ დღეს „კაიფში“ ვიყავი, გაწურვა დამეზარა და დავიწვით, რა“, — თავი გადააქნია დიმამ.

„როგორ დაიწვით?!“

„როგორ და, მკვდარი იმიტომ ჰქვია, რომ ვერაფერი ძლებს. ჩვენც იმიტომ ვწურავდით, რომ რამე ცოცხალი ორგანიზმი არ გაჰყოლოდა ტალახს. ამოიღო ბიძაჩემმა ტალახი, ვიღაც ქალს დაასხა და წურბელები და ბაყაყები დაეყარა ტანზე. მიხვდა ის ჩემი ცოდვით სავსე, რომ ატყუებდნენ და ხმაური ატეხა. ამიტომ გაიქცა ბიძაჩემი და როგორც ვიცი, ახლა ბელგიაშია. იქაც ტალახს ყიდის თუ არა, არ ვიცი, მაგრამ უსაქმოდ არ გაჩერდება“, — დიმა ნარიდან წამოდგა და ჩაის მოდუღება დაიწყო.

„მომისმინე, ისრაელში, თავად ებრაელები თუ ატყუებენ ერთმანეთს?“ — დაინტერესდა №0578.

„მასას ვერ მოატყუებ, ერთი და ორი კაცის მოტყუებით კი დიდ ფულს ვერ იშოვი“, — გაეღიმა დიმას.

ვერსიანიუსი

შსს-მ „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ევროპულ რეგიონულ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ ევროპის რეგიონული კონფერენცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნა. დელეგატებს მიესალმნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე, საფრანგეთის სახელმწიფო მინისტრი რეფორმებისა და სახელმწიფო სერვისების გამარტივების დარგში ტიერი მანდორი და სხვა მაღალი რანგის სტუმრები. კონფერენციას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე, მთავრობის წევრები, OGP-ის 30-ზე მეტი წევრი ქვეყნის, სამუშაო ჯგუფებისა და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ სხვადასხვა ქვეყნის მაღალი დონის წარმომადგენლები, მათ შორის OGP-ის მმართველი კომიტეტის რამდენიმე წევრი ქვეყნის მინისტრი. OGP-ის მიზანია წევრ ქვეყნებს შორის გამოცდილების ურთიერთგაზიარების რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა შექმნას, სწორედ ამას ემსახურება ორდღიანი კონფერენცია, რომელიც საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიაში“ იმართება.

ღია მმართველობის პარტნიორობაში საქართველოს მონაწილეობის ბოლო 2 წელი განსაკუთრებით წარმატებული იყო. სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობით შემუშავდა ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სამოქმედო გეგმის თანახმად, შს სამინისტროს 5 პროექტის განხორციელების ვალდებულება დაეკისრა, რომელთაგან 4 შესრულებულია. შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძემ პრემიერ-მინისტრსა და მოწვეულ სტუმრებს სამინისტროს მიერ სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული პროექტები გააცნო. კერძოდ: დაინერგა ონლაინ კონსულტაციის მექანიზმები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი ხელმისაწვდომი გახდა, შეიქმნა და გამოქვეყნდა შსს-ს არქივში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგები. შეიქმნა „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხები: ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს გადაუდებელ შემთხვევებში შეუძლიათ 112-თან დაკავშირება მოკლე (SMS) შეტყობინებით ან ვიდეოზარით ჟესტურ ენაზე, ასევე განგაშის სიგნალის 112-ში გაგზავნა შესაძლებელი იქნება მაშინაც, თუ პირი გასულია მობილური ოპერატორების მომსახურების ზონიდან (GPS trekeriT); მეხუთე პროექტი – ინტერაქტიული სტატისტიკა და დანაშაულის კრიმინოგენული რუკის შექმნა – მალე დასრულდება. კონფერენციის ფარგლებში, შსს-მ აღნიშნული პროექტების შესახებ პრეზენტაცია წარმოადგინა.

საქართველო პირველი ქვეყანაა აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც „ღია მმართველობის პარტნიორობის“ შეხვედრას მასპინძლობს. კონფერენციის ჩასატარებლად OGP-ის მონაწილე 65 ქვეყანას შორის საქართველომ მასპინძელი ქვეყნის სტატუსი ღია მმართველობის კუთხით წარმატების გამო მოიპოვა.

„ღია მმართველობის პარტნიორობა“ 2011 წელს აშშ-სა და ბრაზილიის პრეზიდენტების ინიციატივით დაფუძნდა, რომელსაც საქართველო იმავე წელს შეუერთდა. დღეისათვის ამ ინიციატივაში 65 სახელმწიფო მონაწილეობს. მათი საერთო მიზანია უზრუნველყონ მთავრობათა გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა. 2013 წელს პარტნიორობის წევრმა ქვეყნებმა, საქართველო მთავრობის ღიაობისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით გადადგმული წარმატებული ნაბიჯების გამო, OGP-ის მმართველ კომიტეტის წევრად აირჩიეს. აღმასრულებელ კომიტეტში საქართველოს იუსტიციის მინისტრი წარმოადგენს.

„ვერსიანიუსი“

შსს-ს სასაზღვრო პოლიციამ მაღალმთიან სოფელ ხახაბოს ერთადერთ მოსახლეს სურსათი ჩაუტანა

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა დუშეთის რაიონის მაღალმთიან სოფელ ხახაბოში მცხოვრებ ერთადერთ მოსახლეს, სტიქიის შედეგად დაზარალებულ ბადრი მინდიკაურს საკვები პროდუქტი ჩაუტანეს.

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ავიაციის მთავარი სამმართველოს ვერტმფრენის დახმარებით, დასახლებულ პუნქტს მოწყვეტილი მოქალაქის სურსათით უზრუნველყოფა მოხდა. გაზაფხულზე სტიქიამ ბადრი მინდიკაურის საცხოვრებელი რაიონულ ცენტრს სრულად მოწყვიტა, მოსავალი გაუნადგურა და პირუტყვი დაეღუპა. დაზიანდა შვიდკილომეტრიანი საფეხმავლო გზა, რომელიც აღნიშნულ სოფლამდე მიდიოდა.

ბადრი მინდიკაური ზღვის დონიდან 1500 მეტრზე მდებარე სოფელ ხახაბოში, რამდენიმე წელია მკაცრ პირობებში ცხოვრობს.

„ვერსიანიუსი“

IFC „საქართველოს ბანკს“ 90 მილიონ აშშ დოლარს გამოუყოფს

სესხი ხელს შეუწყობს „საქართველოს ბანკს“, გააფართოვოს ფინანსური მომსახურება და წაახალისოს ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, საქართველოს ბანკს 90 მილიონი აშშ დოლარის გრძელვადიან სესხს გამოუყოფს. ეს ინვესტიცია ქვეყნის უმსხვილეს ბანკს საშუალებას მისცემს, გაზარდოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ხელი შეუწყოს საქართველოს ეკონომიკის დივერსიფიცირებას და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. ამ სასიამოვნო სიახლის შესახებ, „საქართველოს ბანკის“ სათავო ოფისში გახდა ცნობილი, სადაც მხარეებმა სათანადო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს და სესხის მიზნობრიობაზეც ისაუბრეს.

IFC-ის 10-წლიანი 90-მილიონიანი სუბორდინირებული სესხიდან, 20-მილიონი დოლარი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის შექმნილი ევროპული ფონდიდანაა (EFSE) მოზიდული. სესხი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ფინანსური მომსახურების გაფართოებას საქართველოში, სადაც ეს მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია. დაფინანსების შედეგად მოსალოდნელია მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების ზრდა.

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის, ირაკლი გილაურის განმარტებით, აღნიშნული სესხი ხელს შეუწყობს ბანკის შემდგომ ზრდას.

ირაკლი გილაური: „მოხარული ვარ, რომ „საქართველოს ბანკმა“ წარმატებით დაასრულა მისი არსებობის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დაფინანსების გარიგება. ეს სუბორდინირებული სესხი უფრო გააუმჯობესებს მთლიანად ბანკის კაპიტალიზაციას და ხელს შეუწყობს ბანკის შემდგომ ზრდას. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენი დიდი ხნის პარტნიორს, IFC-ს, მუდმივი თანამშრომლობისთვის. გრძელვადიანი კაპიტალი მოგვაქვს ქვეყანაში, რათა ეკონომიკის ზრდას შევუწყოთ ხელი. დარწმუნებულები ვართ, საქართველოს ეკონომიკა წელს დაახლოებით 3%-ით გაიზრდება და ვფიქრობთ, წლის მეორე ნახევარში, ასევე გაიზრდება ბიზნესაქტივობაც“.

ირაკლი გილაურისვე განმარტებით, აღნიშნული დაფინანსება საშუალებას მისცემს „საქართველოს ბანკს“, რომელიც რეგიონში IFC-ის დიდი ხნის პარტნიორია და საკმაოდ ბევრ მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოს უწევს საბანკო მომსახურებას, მოიზიდოს მეტი კლიენტი ამ სფეროდან. პროექტი ასევე დაეხმარება ბანკს სტრატეგიული მიზნის მიღწევაში, რაც ითვალისწინებს ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობასა და საცალო საბანკო მომსახურების ზრდას.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, **მურთაზ კიკორია** აცხადებს, რომ IFC-თან დადებული გარიგება, ზოგადად, ქვეყნისთვისაც უმნიშვნელოვანესია: **„ხელი მოვაწერეთ მნიშვნელოვან გარიგებას როგორც „საქართველოს ბანკისთვის“, ისე ქვეყნისთვისაც, ვინაიდან ეს გარიგება ხელს შეუწყობს გრძელვადიანი რესურსების მოზიდვას ქვეყანაში და შესაბამისად, გრძელვადიანი დაკრედიტების ხელშეწყობას სხვადასხვა სექტორში, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური მხარდაჭერისთვის“.**

სესხის საშუალებით, საქართველოს ეკონომიკურ მხარდაჭერასა და უმუშევრობის პრობლემის დაძლევაზე გააკეთა აქცენტი IFC-ის რეგიონულმა მენეჯერმა სამხრეთ კავკასიაში იან ვან ბილსენმაც.

იან ვან ბილსენი: „საქართველოს ბანკთან“ საკმაოდ ხანგრძლივი, დაახლოებით 15-წლიანი თანამშრომლობა გვაკავშირებს. პირველად 1999 წელს მოეწერა ხელი 3-მილიონიანი სესხის თაობაზე, რომელმაც ხელი შეუწყო ქვეყანაში იპოთეკური დაკრედიტების განვითარებას. „საქართველოს ბანკი“ იყო პირველი ქართული ბანკი, რომელიც შეუერთდა გლობალური ვაჭრობის დაფინანსების პროგრამას. 2008 წელს, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის დროს, IFC-მ EBRD-თან ერთად „საქართველოს ბანკს“ 200-მილიონიანი კრედიტი გამოუყო. ეს სესხი კი ხელს შეუწყობს „საქართველოს ბანკს“, დააფინანსოს უფრო მეტი მცირე საწარმო საქართველოში. სწორედ კერძო სექტორი წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელ ძალას, მაგრამ ხშირად მას ნაკლებად მიუწვდება ხელი კაპიტალზე, რომელიც მას გაფართოების საშუალებას მისცემს. ეს პროექტი კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოში ჩვენი სტრატეგიის განხორციელების გზაზე. ამ სტრატეგიის ერთი ნაწილი საფინანსო სექტორის მხარდაჭერის მიზნით პარტნიორების რესურსების მობილიზებას ითვალისწინებს, რაც ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ამაღლებას და სიღარიბის დონის შემცირებას შეუწყობს ხელს. დიდი მადლობა სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპისთვის შექმნილ ევროპულ ფონდს, რომელმაც 20 მილიონი დოლარი გამოყო. ასევე — „საქართველოს ბანკს“ აქტიური თანამშრომლობისთვის. იმედი მაქვს, ჩვენი ურთიერთობა მომავალშიც წარმატებული იქნება“.

ნინო ლურსმანაშვილი

ზუგდიდში დევნილებისთვის ახალი საცხოვრებელი კომპლექსი აშენდება

რამდენ ოჯახს დააკმაყოფილებს სამინისტრო ბინით

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

90-იანი წლების შემდეგ, დევნილთა საკითხი საქართველოში განსაკუთრებით აქტუალურია. რა პირობებში ცხოვრობენ დღეს იძულებით გადაადგილებული პირები, რა სოციალურ დახმარებებს იღებენ, რა ეტაპზეა მათთვის საცხოვრებელი ფართების გადაცემის პროცესი და რა სტრატეგია აქვს სამინისტროს პრობლემის დროულად მოსაგვარებლად? „ვერსიის“ კითხვებს დევნილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი მურად აბლოთია პასუხობს.

— ბატონო მურად, სტატისტიკით დავიწყოთ — 2014 წელს საქართველოში 260 ათასი დევნილი ცხოვრობდა. 2015 წელს მათი რაოდენობა 4 ათასით გაიზარდა. რატომ, რა განაპირობებს ამ ციფრების ცვლილებას?

— ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი მაღალი შობადობის მაჩვენებელია. თუ ერთი მშობელი მაინც არის დევნილი და მეორე მშობელი თანხმობას აცხადებს, მათი შვილიც დევნილის სტატუსს იღებს. ეს ნიშნავს, რომ ისიც სოციალურ დახმარებას იღებს. გარდა ამისა, ციფრების ზრდა იმანაც განაპირობა, რომ არიან ოჯახები, რომლებსაც ამ დრომდე საერთოდ არ ჰქონდათ დევნილის სტატუსი. ზოგი მათგანი საზღვარგარეთ იმყოფებოდა, ზოგმაც უბრალოდ რეგისტრაცია ვერ გაიარა. ამ ეტაპზე საქართველოში 264 ათასზე მეტი დევნილი ცხოვრობს.

— თბილისის გარდა დევნილების ყველაზე მეტი რაოდენობა სად მოდის, რომელია ყველაზე პრობლემური რეგიონი?

— თბილისის შემდეგ დევნილების ყველაზე დიდი რაოდენობა ამ ეტაპზე სამეგრელო-ზემო სვანეთშია. ყველაზე დიდი კონცენტრაცია ზუგდიდის რაიონშია.

— დღეს დევნილის დახმარება 45 ლარია. თუ დევნილი სოციალურად დაუცველიცაა, ამ დახმარებას ვერ იღებს. რატომ?

— იმიტომ, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ორივე დახმარება სოციალურ დახმარებად ითვლება. თუ ადამიანი ერთ დახმარებას იღებს მეორეს ვეღარ აიღებს.

— ეს რეგულაცია სწორად მიგაჩნიათ?

— ამაზე მე ვერ გაგცემთ პასუხს.

— გრძელვადიან საცხოვრებელ პროექტთან დაკავშირებით რა ხდება, რამდენი ადამიანის დაკმაყოფილება შეძელით?

— გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ჩვენს პერიოდში 3745 ოჯახს საცხოვრებელი ფართები ერთ ლარად გადაეცათ. ახალ აშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში ბინები 3500-მდე ოჯახმა მიიღო.

— უახლოეს მომავალში კიდევ რამდენი დევნილი ოჯახის დაკმაყოფილებას გეგმავთ საცხოვრებელი ფართით?

— კონკრეტულ ციფრს ვერ გეტყვით. მშენებლობას ვიწყებთ ზუგდიდში. საცხოვრებელი კომპლექსი 2400 ოჯახზე იქნება გათვლილი. მშენებლობა ქუთაისშიც დაწყებულია. დასაწყისისთვის აქ ორი კორპუსი აშენდება და 2000 ადამიანზე იქნება გათვლილი. აღსანიშნავია, რომ პროექტები გორშიც გვაქვს დაგეგმილი. ამ წუთებში ქუთაისსა და ხაშურში ორი ობიექტის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. ახალციხეში ეს პროცესი უკვე დასრულდა. ვაზიანში ოთხ ობიექტზე მიდის მუშაობა. მოგვიანებით კიდევ 2 ობიექტი დაემატება. მენაშენეების პროექტის ფარგლებში თბილისსა და რეგიონებში უკვე 400-მდე ბინა გვაქვს გამოსყიდული და სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს — ბინებს დასრულებული რემონტით ვაბარებთ.

— რა კრიტერიუმების მიხედვით მიიღებენ დევნილები საცხოვრებელ ფართებს?

— შეფასება ქულების მიხედვით მოხდება. პირველ რიგში შედარებით მძიმე კატეგორიის ოჯახები მიიღებენ ბინებს. ვგულისხმობ მათ, ვისაც ყველაზე მეტი ქულა აქვს. ამ ეტაპზე განაცხადების წინასწარი შეფასება მიმდინარეობს. ივლისის ბოლოს გამოქვეყნდება სიები და ყველა დევნილ ოჯახს ეცოდინება, რამდენ ქულას მიიღებს. თუ გარკვეული პრეტენზიები ექნებათ, 3 კვირის განმავლობაში შეეძლებათ, შესაბამისი განაცხადი შემოიტანონ და აუცილებლად განვიხილავთ.

— რამდენიმე თვის წინ დევნილთა სამინისტრომ იპოთეკური სესხის დასაფარად 20 ათასლარიანი დახმარებებიც გამოყო. ამ პროექტის ფარგლებში რამდენი დევნილის დახმარება მოხერხდა?

— განაცხადების მიღება ამ პროექტზე დასრულებულია. ქვეყნის მასშტაბით, 409 განაცხადი მივიღეთ. ახლა მიმდინარეობს წინასწარი შეფასებები. პროცესი უახლოეს მომავალში დასრულდება.

— რა თანხა გამოიყო ამ პროექტისთვის, ერთჯერადი პროექტი იყო თუ კიდევ გაგრძელდება?

— გამოყოფილი იყო 1 მილიონი ლარი. დაითვლება ქულები, მოხდება მათი კორექტირება და შემდგომ, ამ ადამიანებს ამ თანხის ფარგლებში დავაკმაყოფილებთ. ეს იყო საპილოტე პროექტი. საჭიროების შემთხვევაში მოხდება თუ არა მისი გაგრძელდება, ამ ეტაპზე ვერ გეტყვით.

— ჩვენი ინფორმაციით, 2013 წლიდან დღემდე უწყებამ ერთჯერადი დახმარების სახით, რამდენიმე მილიონი ლარი გასცა. ამ თანხას რა კრიტერიუმებით გასცემთ?

— საჭიროებისამებრ — სოციალურად დაუცველებზე, მძიმე ავადმყოფებზე, შესაძლოა ოჯახის რომელიმე წევრის გარდაცვალების შემთხვევაში დასჭირდეთ ფინანსური დახმარება... სოციალურ დახმარებებს ზამთრის სეზონთან დაკავშირებითაც გავცემთ. მათ, ვისაც 70 ათას ქულაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს, 200 ლარით ვეხმარებით. მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ ოჯახებს თვეში 50 ლარით ვეხმარებით. ჯამში, 2013 წლიდან დღემდე, სოციალური დახმარებების კუთხით, დევნილთა სამინისტრომ დევნილ ოჯახებზე 15 მილიონ ლარზე მეტი ფინანსური დახმარება გასცა.

სააკაშვილმა უკრაინაში დაპატიმრებები დაიწყო

„წესრიგის დამყარების“ საქართველოში აპრობირებული მეთოდი და უცვლელი მთავარი გმირები სააკაშვილი-ადეიშვილის სახით

მიხეილ სააკაშვილმა „წესრიგის დამყარება“ ამჯერად უკრაინაში დაიწყო. საქართველოში უკვე აპრობირებული მეთოდი — დაპატიმრებების სერია, ამჯერად ერთ დროს ნარინჯისფერ ქვეყანაში მიმდინარეობს. სცენარიც იგივეა და მთავარი გმირებიც — ამჯერად ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი და „დაჭერების საქმეში“ მისი მარჯვენა ხელი ზურაბ ადეიშვილი, რომელიც დღეს ოდესის მთავარი პროკურორია. პოლიტიკურ კულუარებში უკვე აკეთებენ პროგნოზებს, როგორი იქნება ოდესა რამდენიმე წელში. ექსპერტების მოსაზრებით, სააკაშვილს სურს დაამტკიცოს, რომ ისეთ დიდ ქვეყანაშიც კი, როგორიც უკრაინაა, კორუფციის აღმოფხვრა და წესრიგის დამყარება შესაძლებელია.

წესრიგის დამყარება კი, მიხეილ სააკაშვილმა, მაღალჩინოსნების დაპატიმრებებით დაიწყო. ამჯერად ოლქის გუბერნატორის პირველი სამიზნე ოდესის ოლქის სამხედრო კომისარი გახდა, რომელიც ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილი Facebook-ის საკუთარ გვერდზე წერს: **„დაკავებულია ოდესის ოლქის სამხედრო კომისარი და მისი თანამოაზრეები, რომლებიც ბრალდებულები არიან გამოძალვასა და ქრთამის მიღებაში წვევამდელებისგან“.** მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ გვერდზე ვიდეოც გამოაქვეყნა, საიდანაც ირკვევა, რომ მას კომისრის დაკავების შესახებ ანგარიშს აბარებენ. მაღალჩინოსნის დაკავებამდე, სააკაშვილმა პროკურორს მიმართა: **„ჩვენი ბიჭები იბრძვიან იარაღით ხელში, სისხლს ღვრიან. წესიერი ადამიანები მუშაობენ არმიისთვის. ეს ადამიანი, რომელიც მუნდირს უნდა იცავდეს, ქვეყანას ყიდის, ჩვენი შვილების მომავალს ყიდის. ქვეყანაში, სადაც დგას საკითხი, ექნება თუ არა მომავალი უკრაინას, ეს ადამიანები თავიანთი ყოველდღიური ე.წ მუშაობით ხელს უშლიან ჩვენი ქვეყნის განვითარებას და ანგრევენ შვილების მომავალს“.** ოდესის ოლქის გუბერნატორმა პროკურატურას მხარდაჭერა გამოუცხადა და მოუწოდა, გააააქტიურონ ბრძოლა იმ კორუმპირებული მაღალჩინოსნების წინააღმდეგ, **„რომლებიც ადამიანებს ხელს უშლიან“.**

საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ოდესის ოლქის გუბერნატორად, უკრაინის პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ 30 მაისს დანიშნა. პრეზიდენტმა სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობაც მიანიჭა. მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის მოქალაქეობის მიღება წმინდა ფორმალობად შეაფასა, თუმცა განაცხადა, რომ მისი თავიდან აცილება უნდოდა, მაგრამ გარემოებების გამო ეს ვერ მოხერხდა. „სისხლის სამართლის საქმეებს არ აჩერებენ, ჭკუაზე ვერ მოვიდნენ, ისევ აპირებენ თავის მოკლე ჭკუით ჩემს დაჭერას, ამიტომ საქართველოში ვერ ჩავდივარ. ვარ თუ არა მოქალაქე, არაფერს არ ცვლის“, — სააკაშვილის ეს განცხადება საქართველოში პოლიტიკოსების უმრავლესობამ ქვეყნის ღალატად შეაფასა.

უკვე 2 ივნისს, მიხეილ სააკაშვილმა ოდესის ოლქის გუბერნატორად ზურაბ ადეიშვილი დანიშნა. მისი გადაწყვეტილება პოროშენკომ მოიწონა. საერთაშორისო პოლიტიკურ კულუარებში კი დაკავებები მაშინვე ივარაუდეს.

სანამ სააკაშვილი „უკრაინულ პოლიტიკურ განცხრომაშია“, მისი ყვარლის სახლის დაკავებას ბიზნესმენი ვალერი შოშიაშვილი ცდილობს. ყვარელში, ყოფილი პრეზიდენტის სახლთან ვალერი შოშიაშვილი რამდენიმე ადამიანთან ერთად მივიდა. ექსპრეზიდენტის სახლთან იმყოფებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ კახეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე, რომელმაც პოლიციას მიმართა და უსაფრთხოების ზომების დაცვა მოითხოვა. ვალერი შოშიაშვილი სააკაშვილის სახლის ეზოში ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებმა არ შეუშვეს. არადა, სწორედ ექსპრეზიდენტის საცხოვრებელ სახლში შევარდნით სურდა პროტესტის გამოხატვა ბიზნესმენს ნაციონალური მოძრაობის დროს დაზარალებული ბიზნესმენების საქმეების იგნორირების წინააღმდეგ. ვალერი შოშიაშვილის პრესსამსახურის ინფორმაციით, გენერალური პროკურატურის თანამშრომლებმა ბექა ბასილაიამ და ზაზა მალუძემ 2012 წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე, შოშიაშვილს აიძულეს, ყვარლის რაიონის სოფელ გრემის კულტურის სახლის დანგრეულ შენობაში, რომელიც აუდიტის მიერ 8 ათას ლარად შეფასდა, 700 ათასი ლარი გადაეხადა. მას აუქციონში საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა, ისე გამოაცხადეს გამარჯვებულად. წინააღმდეგ შემთხვევაში ვალერი შოშიაშვილს და მისი ოჯახის წევრებს დაპატიმრებით ემუქრებოდნენ. შოშიაშვილი არც პირველია და არც უკანასკნელი, ვინც ნაციონალური „ვარდების გზის“ ეკლებზე გაიარა. დაზარალებული ბიზნესმენები საქმეები კი იმის თვალსაჩინოებისთვის გამოდგება, როგორ მყარდებოდა საქართველოში წლების წინ „წესრიგი“.

სანამ საქართველოში სამართლიანობის აღდგენას ექსპრეზიდენტის და მისი გუნდის მიერ დარეკეტებული ბიზნესმენები ითხოვენ, სააკაშვილ-ადეიშვილი „სამართლიანობის აღდგენას“ უკრაინაში ცდილობენ. კიდევ რომელი უკრაინელი მაღალჩინოსანი მოყვება ოდესის გუბერნატორის ბადეში, დრო გვიჩვენებს. პარალელს თუ გავავლებთ და ნაციონალების თავკაცის პოლიტიკურ ბეგრაუნდსაც გავიხსენებთ, უკრაინულ ციხეს უახლოეს მომავალში არაერთი „პასაჟირი“ შეემატება. მით უმეტეს, შესაძლებელია, მალე უკრაინის პოლიციის სათავეში ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე ეკა ზღულაძე ვიხილოთ — უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ ქვეყნის რეფორმირებული პოლიციის ხელმძღვანელად ისეთ ადამიანს მოიაზრებს, როგორიც ზღულაძეა.

ნინო ლურსმანაშვილი

ბათუმის სასტუმროებს დახურვა ემუქრება!

გიორგი სირაძე
„ვერსიისთვის“ აჭარიდან

ბათუმის სასტუმროები დახურვის საფრთხის წინაშეა. ტურისტების სიმცირის გამო, სასტუმროს მეპატრონეები თანამშრომლებს ამცირებენ და აცხადებენ, რომ ტურისტების ნაკადი განსაკუთრებით წელს შემცირდა. ბათუმის სასტუმროების მეპატრონეები ტურისტების ნაკადის შემცირებას სავიზო რეგულაციების გამკაცრებით ხსნიან. იმ შემთხვევაში, თუ ბარიერი არ მოიხსნა, არ გამორიცხავენ, საკურორტო ზონაში სასტუმროები მასობრივად დაიხუროს. ექსპერტები და ანალიტიკოსები კი ხელისუფლებას სამოქმედო გეგმის შემუშავებას ურჩევენ და სავიზო რეგულაციების გამარტივებას აუცილებლად მიიჩნევენ.

ზაფხულში, როგორც წესი, ზღვა ყველაზე აქტუალურია. ზღვისპირეთში სასტუმროების ნამდვილი ბუმია. აქ სასტუმროების ფასი 30-დან 590 დოლარამდე მერყეობს. მსურველს, საშუალოდ 165-დან 280 დოლარის ფარგლებში შეუძლია დაისვენოს.

სასტუმრო „ელბაკურში“ ნომრები დღითიდღე ცარიელდება. დირექტორის თქმით, იმის გამო რომ ვიზიტორთა ნაკლებობა შემცირდა, თანამშრომლების შემცირება მოუხდათ. ვიზიტორების არარსებობის გამო არც „რჩეული ვილა“ მუშაობს. **„ზამთარში თანამშრომლები გავუშვით უხელფასო შვებულებაში და რადგან მუშაობის სტილი არ შეიცვალა, ვერ ავიყვანეთ სამსახურში. ომის დროსაც არ ყოფილა ასეთი ცუდი ვითარება“,** — აცხადებს სასტუმრო „ელ ბაკურის“ დირექტორი, **ამირან ბაკურიძე.**

სასტუმროებსა და კერძო სექტორში ფასები ამ სეზონზეც განსხვავებული და არასტაბილურია. ერთი კვირის განმავლობაში სასტუმროში ცხოვრება, საშუალოდ, 400-450 ლარი ღირს, ამას ემატება კვების თანხაც, საშუალოდ, 300 ლარი. თუ სასტუმროს ნაცვლად ბინას დაიქირავებთ, 200 ლარამდე დაგეხარჯებათ. მგზავრობის თანხის გათვალისწინებით, ერთ კვირაში დამსვენებელს, საშუალოდ, 600-800 ლარის გადახდა მოუწევს.

გასულ წელთან შედარებით, სასტუმროებსა თუ კაფე-ბარებში მომსახურების ფასები, იმის გათვალისწინებით, რომ დამსვენებელი გაცილებით ბევრია, მეტ-ნაკლებად გაიზარდა. მათ შორის კერძო სექტორშიც.

ქობულეთში ერთი დამსვენებლისთვის ღამის გათევის საფასური კერძო სახლში 6 ლარიდან 15 ლარამდე მერყეობს — ზღვასთან და ქალაქის ცენტრთან სიახლოვისა და კომფორტული პირობების გათვალისწინებით. მწვანე კონცხზე ცხოვრება ქობულეთზე ძვირია. აქ ფასები 15 ლარიდან იწყება. დამსვენებლისთვის ღამის გათევა ყველაზე ძვირი მაინც ბათუმშია. იმავეს თქმა შეიძლება კვების ობიექტებსა და გასართობ დაწესებულებებზე.

„6 ოთახი მაქვს გასაქირავებელი და შარშან მხოლოდ ორი გავაქირავე — სომეხი დამსვენებლები მყავდა. ტაქსზე ვმუშაობ, თბილისიდან ჩამოსულ მატარებელს ვხვდები ხოლმე, მაგრამ მაინც ვერ ვშოულობ დამსვენებლებს. ძალიან გვიჭირს ოთახების გაქირავება“, — ამბობს ბათუმში მცხოვრები **ბადრი ბერიძე.**

როგორც ადგილობრივები განმარტავენ, შარშან ქობულეთში მყოფი ყოველი ათი დამსვენებლიდან 7 სომეხი იყო.

„ქობულეთში სპეციალური ოფისი მუშაობს, სადაც ერევნიდან ავტობუსები ჩამოდიან. ბათუმში ასეთი არ არის. დღეში 3-4 დიდი ავტობუსი მაინც ჩამოდის. ორშაბათისა და პარასკევის გარდა ყოველდღეა რეისი. შარშან უცვლელი ფასი იყო ერთ კაცზე 10 ლარიდან ზემოთ, წელს არის საწოლის ფასი 8 ლარიც, უფრო ნაკლებიც. გვირჩევნია 2-3 ლარი დავაკლოთ, ვიდრე სეზონის განმავლობაში ოთახები ცარიელი გვქონდეს მდიდარი ტურისტების მოლოდინში“, — ამბობს ქობულეთში მცხოვრები ნათელა ცხვარაძე.

აჭარაშიც, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე საუბარი პოლიტიკური დისკუსიებით გრძელდება. პოლიტიკაზე აქ ყველაზე მეტად და ყველაზე თამამად აზრს პენსიონერები გამოთქვამენ: **„80 ლარი გვაქვს პენსია, ვისაც სტაჟი აქვს ცოტა ემატება. პრეზიდენტი 100 დოლარიან პენსიებს დაგვპირდა. მას შემდეგ რამდენი ხანი გავიდა და არ შეგვისრულა დაპირება. ოჯახი გვყავს — შვილები, შვილიშვილები. სამსახურიც არ არის, ახალგაზრდებმა რომ იმუშაონ“.**

სუდოკუ

ადვილი

1		5	4			9		
				9				8
			7		1			4
	7	1				6		
			2		9			
		3				8	9	
6			9		3			
5				8				
		2			6	7		1

სტანდარტი

	7			6				
2			1		4			
			2	9		1	6	
		5	4	8			7	3
	8						4	
7	4			1	9	8		
	3	9		4	8			
			3		1			4
				2			3	

რთული

				3		6	7	9
								8
	1			8			4	3
5				9	8	4		
				2				
		8	4	6				1
2	5			4			3	
7								
8	3	4		7				

ექსპერტი

	2			9			5	
9			5		4			
6		4						7
		3			1			2
4				8				9
2			6			7		
1						8		5
			2		8			6
	6			1			4	

სასარგებლო ფეხსაცმელი ქუსლზე

ამერიკელმა ქირურგმა-ორთოპედმა, ტერინ როუზმა ქუსლიანი ფეხსაცმელი შექმნა, რომელიც ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. როუზი ახლა ფინანსების მოძიებას ცდილობს, საკუთარი გამოგონების წარმოება რომ დაიწყოს. ორთოპედიულ ფეხსაცმელში ჩანართია ნახშირბადის ბოჭკოებიდან, რომელიც ტერფის სამივე ნაწილს იჭერს. სიარულისას ეს ინოვაციური სუპინატორი ფეხებში სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს. იდეის ავტორის თქმით, ასეთ ფეხსაცმელს შეუძლია, შეამციროს ქვედა კიდურების შეშუპება და მთლიანობაში, კომფორტს უზრუნველყოფს. ამ სასარგებლო ფეხსაცმლის სავარაუდო ღირებულება 350-დან 1995 დოლარამდეა.

კომპენსაცია რელიგიური დისკრიმინაციისთვის

ნისლიან ალბიონზე მცხოვრებმა ებრაელმა ქალბატონმა, ორელი ფიმამ 25 ათასი დოლარის კომპენსაცია მიიღო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად კომპანიისგან, რომელმაც უარი უთხრა დასაქმებაზე. მიზეზი კი ის ფაქტი გახდა, რომ ქალი ტრადიციულ შაბათს იცავდა. ორელი მანჩესტერში, ერთ-ერთ ტურისტულ კომპანიაში ცდილობდა მუშაობის დაწყებას, თუმცა არ მიიღეს, როცა გასაუბრებაზე გაარკვიეს, რომ რელიგიური მოსაზრებით, არ შეეძლო პარასკევ საღამოს და შაბათს მუშაობა. გოგონას კომპანიისგან წერილი მიუვიდა, სადაც ეწერა, რომ ვერ აიყვანდენ სამუშაოდ, რადგან ისეთ ადამიანს ეძებდნენ, რომელიც შაბათობით იმუშავებდა. ორელიმ გადაწყვიტა, ფირმის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეეტანა რელიგიური დისკრიმინაციისთვის და საქმე მოიგო კიდეც — მორალური ზიანისთვის კომპანიამ მას სოლიდური თანხა გადაუხადა.

ჯობსის პირველი კომპიუტერი ნაგავში აღმოჩნდა

სან-ფრანცისკოს ნარჩენების გადამამუშავებელი კომპანია ეძებს ქალბატონს, რომელმაც ნაგავში მოისროლა Apple 1, რომლის ფასი დაახლოებით 200 ათასი დოლარია. ტექნიკის ასეთ ფასს კი ერთი ფაქტორი განაპირობებს — ის ერთ-ერთი პირველი კომპიუტერია Apple-სგან, რომელიც სტივ ჯობსმა, სტივ ვოზნიაკმა და რონ ვეინმა შექმნეს. პერსონალური კომპიუტერი იმითაცაა უნიკალური, რომ მხოლოდ 200 ეგზემპლარად გამოვიდა. ნარჩენების გადამამუშავებელმა კომპანიამ გადაგდებული კომპიუტერი კერძო კოლექციონერს მიყიდა. ახლა ისინი ეძებენ ქალს, რომელმაც ასეთი ძვირფასი ნივთი მოისროლა, რადგან ფირმის პოლიტიკა მოითხოვს, მიღებული თანხა შუაზე გაუყოს იმ ადამიანს, ვინც ასეთი „ქველმოქმედება“ გასწია. კომპანია აპირებს, ქალს 100 ათასი დოლარი გადაუხადოს.

ბენზინი ნავთოგის გარეშე მიიღეს

გერმანული ავტოკომპანია Audi-ს კვლევითი ცენტრის ექსპერტებმა განაცხადეს, რომ შეძლეს ბენზინის სინთეზირება ნავთობის გამოყენების გარეშე. საკუთარ პროდუქტს, 100-იანი ოქტანობით, E-benzin უწოდეს. შემადგენლობით, ის სუფთა იზოოქტანია გოგირდისა და ბენზოლის მინარევების გარეშე. სწავლულების მტკიცებით, მათი პროდუქტი შიდაწვის ძრავის მუშაობის უნარს ზრდის. როგორც ავტოკომპანიში აცხადებენ, სიახლე Global Bioenergetics-თან ერთად, მცენარეული ნედლეულისგან მიიღეს.

ერთდროულად ორივე ხელით წერს

ახალგაზრდა მთარგმნელი ქალი ჩინეთიდან ამბიდექსტორია, რაც საშუალებას აძლევს, ერთნაირი წარმატებით გამოიყენოს როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა ხელი საკუთარი ამოცანების გადასაჭრელად. თუმცა, უფრო გასაოცარი ის არის, რომ ჩენ სიანს შეუძლია ერთი ხელით ვერტიკალურად წეროს, მეორეთი კი — ჰორიზონტალურად და ტექტი ჩინურ და ინგლისურ ენებზე შეადგინოს. სამწუხაროდ დღეს, კომპიუტერიზაციის ეპოქაში, ასეთი უნარი, ალბათ, გამოუსადეგარია, თუმცა ჩინელის ნიჭი მაინც არ კარგავს უნიკალობას. ეს უჩვეულო უნარი ჩენმა მოულოდნელად აღმოაჩინა, სტუდენტობისას. ის იმდენად იყო გადატვირთული საშინაო დავალების შესრულებით, რომ გაუაზრებლად ორივე ხელით ერთდროულად დაიწყო წერა. ჩინელი მთარგმნელი ამბობს, რომ ადამიანებს არ სჯერათ მისი და სკეპტიკურად უყურებენ, მაგრამ, როგორც კი თავადაც ცდილობენ ამის გაკეთებას და არაფერი გამოსდით, აღიარებენ ჩენის შესაძლებლობებს.



მსუქანი ქალები გამხდრებზე ქკვიანები არიან

ამერიკელმა სწავლულებმა პიტსბურგის უნივერსიტეტიდან გამოკვლევა ჩაატარეს, რომლის დროსაც ქალის წონასა და მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს შორის კავშირი დაადგინეს. ხანგრძლივი დაკვირვების ობიექტი, სხვადასხვა წონის მქონე, 16 ათასი ქალბატონი იყო, ექსპერიმენტი კი მოსაზრებულობასა და გამჭრიახობაზე ტესტირებას ითვალისწინებდა. შედეგების გაანალიზებისას მკვლევარებმა აღმოაჩინეს გასაოცარი კანონზომიერება: საუკეთესო შედეგები ტესტების ამოხსნისას სუსტი სქესის იმ წარმომადგენლებმა აჩვენეს, რომელთაც „ფუმფულა" ფორმები ჰქონდათ — რამდენადაც მსუქანი იყო ქალი, მით მეტ გამჭრიახობას იჩენდა. შედეგების შეჯამების დროს სწავლულებმა განაცხადეს, რომ მსგავს სიტუაციაში არ არსებობს შემთხვევითობა, მსუქნები უფრო სწრაფად უმკლავდებოდენ ინტელექტუალურ ამოცანებს სწორედ საკუთარი კომპლექციის წყალობით. სპეციალისტები ამ ფაქტს მსუქანი ქალების ორგანიზმში დიდი ოდენობით ორგანული მჟავების არსებობას უკავშირებენ, რაც ხელს უწყობს უფრო მაღალი დონის ინტელექტუალური უნარების განვითარებას.

ევროკავშირმა კოფეინის მავნებლობა შეაფასა

სურსათის უსაფრთხოების ევროპული საა-გენტო მოზრდილ ადამიანებს ურ-ჩევს, შეზღუდონ კოფეინის დღიური დოზა. სააგენტოს მთავარი გზავნი-ლი ისაა, რომ ადა-მიანებმა კოფეი-ნის სხვა წყაროები უნდა გამონახონ. დღეში ოთხ ფინ-ჯან ესპრესოზე მეტი ზიანს აყენებს ჯანმრთელობას, — აღნიშნულია ორგანიზაციის განცხადებაში. დღის განმავლობაში 400 მილიგრამამდე კოფეინი მოზრდილი ადამიანისთვის, გარდა ორსულებისა, რისკის შემცველი არ არის. უწყებაში აღნიშნავენ, რომ კოფეინის მავნებლობის შესახებ ოფიციალურად პირველად განაცხადეს ევროკავშირში. მოხსენებაში მოყვანილი დასკვნები მომხმარებლების, მწარმოებლებისა თუ სხვა დაინტერესებული მხარეების გამოკითხვითა და განხილვის შედეგად დაიდო. კვლევაში 39 ევროპული ქვეყნიდან 66 ათასი რესპონდენტი მონაწილეობდა.

ოფიციანტებს თავაზიანობას აწავლიან

პარიზში ტურისტებთან ურთიერთობის სახელმძღვანელო გამოიცა, რომელიც აქა-ური ოფიციანტების, ტაქსის მძღოლებისა და სასტუმროების თანამშრომლების ცუდი რეპუტაციის გამოსწორებას შეეცდება. საფრანგეთის დედაქალაქში მომსახურე პერსონალი ხშირად ვერ აგვარებს ურთ-იერთობას უცხოელებთან და თავაზიანო-ბის მარტივ წესებს არ იცავს. არადა, ეს წესები ბუკლეტის ექვს გვერდზე დაეტია, უფასოდ ვრცელდება და მას ინგლისურ-ფრანგული სათაური აქვს — Do you speak Touriste. რეკომენდაციები, ძირითადად, რვა ქვეყნიდან ჩასულ სტუმრებს ეხება. ავტორები აღნიშნავენ, რომ ბრიტანელებს უყვართ, როცა სახელით მიმართავენ, იტალიელებს ხელის ჩამორთმევით უნდა მიესალმონ, ამერიკელებს კი ზუსტად უნდა უთხრან მომსახურების ფასი. ჩინელი სტუმრები, რომელთა რიცხვი პარიზში სულ უფრო იზრდება, შოპინგის მოყვარულებად არიან აღიარებულნი, მათთვის სავსებით მისაღებია უბრალო გაღიმება და მშობლიურ ენაზე მისალმება. აღსანიშნავია, რომ პარიზელებისთვის თავაზიანობის სწავლების მცდელობა ადრეც იყო, მაგალითად, ქალაქის ტურიზმის დეპარტამენტმა ჯერ კიდევ 2007 წელს გაავრცელა მსგავსი ბროშურა ტაქსის მძღოლებსა და ოფიციანტებში, თუმცა ჩანს, მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო.

სუდოკუმანია

ადვილი

	9	8	7	6				2
					1	9	6	
4	6			3				
		7						
6	4		2		9		8	7
						6		
				8			9	4
	7	4	6					
8				4	7	5	2	

სტანდარტი

	2			1		4		
6			5			3		9
9							1	
	4	1		2				
2	3			6			7	8
				9		5	4	
	9							4
1		8			4			3
		2		8			9	

რთული

					7			
3		8	6		5	7		
	1	6	9			5		
8		1						2
	3						7	
6						1		9
		7			6	9	3	
		9	3		1	2		4
			2					

ექსპერტი

	4		3				8	
3	2			9				4
						3		1
5			4	3				
	9		5		2		6	
				8	7			2
8		3						
7				6			3	9
	5				3		7	

უმუშევრობა სწრაფად აბერებს

ლონდონის სამეფო კოლეჯის მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ უმუშევარი მამაკაცები უფრო სწრაფად ბერდებიან, ვიდრე მათი დასაქმებული თანატოლები. მათი განცხადებით, ორგანიზმის დაბერების ტემპი მატულობს, თუ უმუშევრობა ორ წელიწადზე მეტხანს გრძელდება. სწავლულებმა 5,5 ათასზე მეტი მამაკაცისა და ქალის დნმ გამოიკვლიეს, რომლებიც 1966 წელს იყვნენ დაბადებულები და ფინეთში ცხოვრობდნენ. მათი სისხლის უჯრედების ტელომერების სიგრძე გაზომეს 1997 წელს და ახლა, 2015-ში. აღმოჩნდა, რომ უფრო მოკლე ტელომერები ჰონდათ იმ მამაკაცებს, ვინც ორ წელიწადზე მეტხანს უმუშევარი იყო. აღსანიშნავია, რომ ასეთი კანონზომიერება სუსტი სქესის წარმომადგენლებში არ დაფისქირებულა. ტელომერები — ქორმოსომების დაბოლოებაზე არსებული მცირე ნაწილებია, რომელთა სიგრძეც ორგანიზმის დაბერების შესაბამისად მოკლდება. ტელომერების სიგრძე დაბერების, ასაკობრივი დაავადებებისა და ადრეული სიკვდილიანობის მაჩვენებელია. გამოკვლევის ავტორების განცხადებით, სამსახური ცხოვრების ჯანსაღი წესის ნაწილია.

წიგნებს წონით ყიდიან

ჩინეთის ქალაქ ჩუნცინის ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელებმა წიგნების გაყიდვა წონით დაიწყეს. აქცია იმის გამო მოეწყო, რომ ბეჭდვური წიგნები უფრო პოპულარული გახდეს. დაწესებულების კლიენტები ამტკიცებენ, რომ წიგნების ყიდვა კილოგრამობით გაცილებით იაფია, ვიდრე ცალობით. საქმე ის არის, რომ გაყიდული წიგნების რაოდენობა ჩინეთში ყოველწლიურად იკლებს და სავარაუდოდ, მომავალში, ელექტრონული წიგნები ბეჭდურს ჩაანაცვლებს. არადა, ერთ-ერთი წამყვანი მსოფლიო კომპანიის მონაცემებით, რომელიც წიგნის ბაზარს იკვლევს, ჩინეთი მსოფლიოში ყველაზე „კითხვადი“ ქვეყნების ხუთეულში შედის. საათების რაოდენობის მიხედვით კი, როცა ქვეყნის ერთი მცხოვრები საშუალოდ ყოველკვირა წიგნის კითხვაზე ხარჯავს, ის მესამე ადგილზეა ინდოეთისა და ტაილანდის შემდეგ.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

7	2	3	1	4	9	8	6	5
4	1	9	6	5	8	7	3	2
8	6	5	7	3	2	1	4	9
6	5	8	4	2	7	9	1	3
3	9	4	8	1	6	5	2	7
2	7	1	5	9	3	6	8	4
5	4	2	9	8	1	3	7	6
1	3	7	2	6	5	4	9	8
9	8	6	3	7	4	2	5	1

სტანდარტი

9	3	8	4	2	1	7	6	5
1	7	6	9	8	5	3	4	2
5	4	2	7	6	3	1	9	8
8	1	3	6	7	4	5	2	9
4	6	9	3	5	2	8	1	7
7	2	5	8	1	9	6	3	4
6	9	4	5	3	8	2	7	1
3	8	1	2	9	7	4	5	6
2	5	7	1	4	6	9	8	3

რთული

5	4	9	6	3	7	8	2	1
3	2	1	9	5	8	7	6	4
8	7	6	4	2	1	5	3	9
7	1	2	8	9	4	3	5	6
6	5	4	3	7	2	1	9	8
9	8	3	5	1	6	4	7	2
4	9	8	7	6	5	2	1	3
2	6	7	1	4	3	9	8	5
1	3	5	2	8	9	6	4	7

ექსპერტი

4	2	1	6	7	3	5	9	8
5	9	8	2	4	1	7	3	6
7	3	6	9	8	5	4	2	1
3	1	9	8	6	4	2	7	5
2	5	4	7	1	9	8	6	3
6	8	7	5	3	2	1	4	9
9	7	3	4	5	8	6	1	2
1	6	5	3	2	7	9	8	4
8	4	2	1	9	6	3	5	7

მე-10 გვერდი: 1. კარდინალი; 2. ლევრეტი; 3. კოროზია; 4. რაზდანი; 5. იამბიკო; 6. ევრაზია; 7. რეპერტუარი; 8. ტარო; 9. აზდაკი; 10. დელაკრუა; 11. მაზარა; 12. რაპირა; 13. ოსტრავა; 14. აპდაიკი; 15. პოსტ; 16. ვალეტი; 17. ნეი; 18. ზერო; 19. ტუია; 20. ვალიკო; 21. კლოზე; 22. რონია; 23. არფა; 24. ტინქტურა; 25. კივი; 26. ლიკვორი; 27. ზორგე; 28. ტეილორ სვიფტი; 29. ნიძიუბასი; 30. ტოგა; 31. ინძაგი; 32. ტყუპები; 33. ტრიო; 34. ტრუმენი; 35. ვადუცი; 36. ენურეზი; 37. ლოტი; 38. სერ; 39. ირონია; 40. ათოსი; 41. არაყი; 42. ეტლი; 43. ვენა; 44. როსინანტი; 45. სუმო; 46. ბეირუთი; 47. პაი; 48. „ადიდასი“; 49. დუ; 50. სატირი; 51. რაი; 52. რუპია; 53. სნო; 54. ოფი; 55. ლატვია; 56. პოოპო; 57. სენა; 58. პილინგი; 59. კეცი; 60. ლიოვი; 61. იბისი; 62. ზილფი; 63. ფიდე; 64. ანოა; 65. სოფიტი; 66. დასი; 67. ინო; 68. ეპოსი; 69. დინგო; 70. რიალი; 71. იარა; 72. ინგა; 73. ფინტი; 74. ვარანი; 75. უფა; 76. გნუ; 77. კიი; 78. ტროა; 79. ლილვი; 80. ოინი; 81. ვო; 82. აიაჩო; 83. რტო.

ბედნიერი ქორწინება გენებზეა დამოკიდებული

ბერკლის უნივერსიტეტის მეცნიერების აზრით, ოჯახური ბედნიერება, ძირითადად, დამოკიდებულია გენეტიკურ ფაქტორებზე. გენი 5-HTTLPR ცნობილია, როგორც „ბედნიერების გენი“ და არეგულირებს სეროტონინის გადატანას თავის ტვინში. კალიფორნიელმა მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ამ გენის „მოკლე“ და „გრძელი“ ვარიანტები, ზომის მიხედვით, სხვადასხვაგვარად მოქმედებენ წყვილის ემოციურ კმაყოფილებაზე. კვლევებში საშუალო და უფროსი თაობის 156-მა წყვილმა მიიღო მონაწილეობა. გაირკვა, რომ მათი ბედნიერი წლები 20 წლის განმავლობაში გრძელდებოდა. სწავლულებმა გამოკითხვა ჩაატარეს მეუღლეებს შორის, რომელიც ქორწინების ემოციურ მხარეს უკავშირდებოდა. ასევე აკვირდებოდნენ წყვილის ურთიერთდამოკიდებულებას. ცოლ-ქმრის ურთიერთობა შეფასდა როგორც სახის გამომეტყველების, ასევე სხეულის ენის, ხმის ტემბრისა და სასაუბრო თემის მიხედვით. მეცნიერებმა მოხალისეების დნმ-ის ნიმუშებიც გამოიკვლიეს და დაადგინეს, რატომ ემსგავსება ცოლ-ქმარი ერთმანეთს. აღმოჩნდა, რომ მონაწილეთა 17%-მა მშობლებისგან მემკვიდრეობით მიიღო 5-HTTLPR -გენის მოკლე ვარიანტი. ამ გენის მატარებლებისთვის ურთიერთობისას მთავარი ყურადღება თბილ ურთიერთდამოკიდებულებას ენიჭება. თუ ისინი ნეგატიურ ემოციებში ჩავარდებიან, თავს უბედურად გრძნობენ, ხოლო თუ პოზიტივია გაბატონებული, უზომოდ ბედნიერები არიან. გენის „გრძელი“ ვარიანტის მატარებლები კი, პირიქით, ნაკლებად მგრძნობიარენი აღმოჩნდნენ ოჯახში ემოციური ატმოსფეროს მიმართ.

საქმის მომზადების ახალი მეთოდი

ამერიკელმა პატრიკ შერვინმა შეძლო, სრულიად შეეცვალა ტრადიციული წარმოდგენა გრილზე. მის მიერ შექმნილი ახალი გრილი Go Sun Grill საშუალებას იძლევა, პროდუქტი შეწვა, მოხარშო და გამოაცხო სპეციალური თერმული ელემენტის წყალობით. ელემენტი მაშინაც კი მუშაობს, როცა მოღრუბლულია ან საღამოვდება. სითბური აკუმულატორი რომ დაიტენოს, მხოლოდ 2 საათით მზის შუქია საჭირო. გრილის ჩვეულებრივი ბადის ნაცვლად, რომლის ტრანსპორტირებაც საკმაოდ რთულია და საწვავი ან ნახშირი სჭირდება, ახალი მოწყობილობა ძალიან მსუბუქია და მისი გადატანა ნებისმიერ ადგილასაა შესაძლებელი. გარდა ამისა, ის საკმაოდ გრილი რჩება, მიუხედავად მზადებისას მიღწეული 150-200 გრადუსი ტემპერატურისა. გამომგონებელმა საკუთარი პროექტი ინტერნეტში გამოაქვეყნა, რათა მისი რეალიზაციისთვის საჭირო თანხა — 140 ათასი დოლარი შეეგროვებინა. თუმცა, შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა და საჭიროზე ორჯერ მეტი ფული მოგროვდა.

1. კათოლიკ-ეთა მღვდელი პოლონეთში
2.იაპ. სამხედრო-ფეოდალური გამგებლის ტიტული
3. ფუტკრის თავდასაცავი ორგანო
4. ჭრელფრ-თიანი მწერი
5. სამშობ-ლოდან გაძევება, განდევნა
6. სხვადასხ-ვაგვარ თეორი-ათა უპრინციპო შეერთება
7. იაპონიის ყველაზე დიდი კუნძული
8. ოტელოს მეუღლე
9. ბრა-ზილიელი მწერალი
10. უშუშო გასანათებელი მოწყობილობა
11. შუა საუკუნეების მისტიკური მოძღვრება
12. უზარმაზ-არი ქანდაკება
13. მამაკაცისად-მი ზრდილ. მიმართვა თურქეთში
14.სოფელი გორის რაიონში
15. ... ზელ-ვეგერი
16. სამიზნე თო-ფის ლულაზე
17.თიკვის ასაღები სამ-თითა იარაღი
18. ჭადრაკის ფიგურა
19. საბუნების-მეტყველო მეცნიერება
20. ზედა-პირულად განათლებული ადამიანი
21. ჩოხის ქვეშ ჩასაცმელი სამოსი
22.შოტლანდ-იელ მამაკაცთა ეროვნული სამოსი
23.ილიკოს და ილარი-ონის საზიარო ძროხა
24. მდინარე რუსეთში
25. მეფე დემეტრე I ბერობაში
26. წყლის საათი
27. სოფელი ცაგერის რაიონში
28. კურორტი მარტვილის რაიონში
29. სამ-კურნალო პრეპარატი
30.სომხეთის ეკლესიის კათალიკოსის საბრძანებელი
31. ირანის შაჰინშაჰი XV-XVI საუ-კუნეებში
32. დიდი ქვა
33.ხმელთაშუა ზღვის ნაწილი
34. საზოგა-დოების რჩეული ნაწილი
35. ველური კომში
36.ათენის საფეხბურთო კლუბი
37. სატრფი-ალო პოეზიის მუზა
38. იაპონიის ეროვნული ვალუტა
39. ცხვრის ჯოგი
40.ძალიან ბრაზიანი
41. რომაელი მხედარ-მთავარი
42. უზარმაზარი ამფითეატრი ძვ. რომში
43. კონ-სტანტინე გამსახურდიას მდინარე
44.პომპეის-თან ერთად განადგურებუ-ლი ქალაქი
45.იტალიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი
46. გერმანიის საფეხბურთო კლუბი
47. იგივეა, რაც მაგნიტი
48. ხარების ბრძოლა
49. წყალქვეშა ცურვა
50. ოქროს ურდოს სარდალი
51. წიწვოვანი ტყის ზოლი
52. ხორვატიის დედაქალაქი
53. მამალი კვიცი
54. თვითმფრინა-ვის კიბე
55.სახალხო პოეტი-მომ-ღერალი შუა აზიაში
56. ცხრა მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
57. ლონდო-ნის საქმიანი ცენტრი
58. ქოლგო-სანთა ოჯახის ბალახოვანი მცენარე
59. იგივეა, რაც სეირინგი
60.ეგვიპტის კუთვნილი ნახევარ-კუნძული
61. რუსეთის მეფე ივანე IV-ის მეტსახ-ელი
62. ქიმიური ელემენტი, მეტალი
63. ძველ-ევვიპტელთა წმინდა ხარი
64. ოსტატო-ბის თანრიგი ძიუდოში
65. მზის ამოსვლა, ალიონი
66.მთვარის ქალღმერთი ბერძნულ მი-თოლოგიაში
67. ფრანგი მწერალი
68. მცოცავი ბუჩქი
69.რუსული საბჭოთა თვითმფრინა-ვის მარკა
70. თავის ტვინის გარსების ანთება
71.ცნობილი იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი
72. ჰაკერის სახელი „მატ-რიცაში“
73. ესპანელი მხატვარი ... გრეკო
74. ინგ-ლისელთა ტრადიციული ლუდი
75. ბულ-გარეთის საკურორტო ქალაქი
76. სახის გამომ-ეტყველება, შესახედაობა
77. დასტუ-რის შეძახილი აშშ-ში
78.ხორცის უძვლო ნაჭერი
79.მიმართვა ფრანგი მეფისადმი
80.ბებერი მგელი ვაჟას მოთხრობაში
81. ტკივილის გამომხატველი ძორისდებული
82. მწერალი ... ჭილაძე
83. მუსიკალ-ური გამის II ნოტი
84. სამეურ-ნეო მუშაკი

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲡᲛᲔᲚᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲔᲑᲘ

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ გამოაქვეყნა მოხსენება თემაზე — ევროპის რომელ ქვეყანაში სვამენ მეტ ალკოჰოლს. შედეგებმა დაამსხვრია სტერეოტიპი, რომ ყველაზე მსმელები რუსები არიან, როგორც აღმოჩნდა, უზომო რაოდენობით ალკოჰოლურ სასმელს მოიხმარენ ესტონეთში. ექსპერტების დათვლით, ამ ბალტიისპირა ქვეყანაში, საშუალო მოხმარება წელიწადში, ერთ ადამიანზე 12 ლიტრს შეადგენს. ცოტათი ნაკლებს სვამენ ავსტრიაში — 11,9 ლიტრს. საფრანგეთში, სადაც ძირითადად ღვინოს ანიჭებენ უპირატესობას, ალკოჰოლის საშუალო მოხმარება 11,8 ლიტრს შეადგენს ერთ ადამიანზე. „მსმელი ევროპელების“ რეიტინგში მეოთხე ადგილი ირლანდიელებს ერგოთ, შემდეგზე ჩეხები არიან 11 ლიტრით კაცზე, სიაში ასევე არიან ლუქსემბურგელები და უნგრელები. რუსები მერვე ადგილზე გავიდნენ. ათეულს კი გერმანელები და პორტუგალიელები ასრულებენ.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
�პᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ – ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.